# საქართველოს რესპუბლიკა




დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 16 ოქტომბერი, 2008 წელი.

№ 194 (6052)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.





*2008 წლის 9 მაისს, როცა წითელ მოედანზე სამხედრო პარადს რუსეთის ახლადგამომცხვარი პრეზიდენტი იბარებდა, ბევრს ყურადღებიდან გამორჩა ერთი რამ: მას მერე, რაც სსრკ-სა და დასავლეთს შორის „ცივი ომი“ ფორმალურად მაინც დასრულდა, რუსეთმა სამყაროს პირველად უჩვენა თავისი სიამაყე — ატომური სარაკეტო დანადგარი „ტოპოლი“, რომელიც 97 ტონას იწონის, ხოლო სიგრძით 22 მეტრია. მისი „გადაფრენის“ მანძილი კი — 11 000 კმ-ია.... ეს ის მანძილია, რომელიც ჩრდილოეთ ამერიკამდე მისაღწევად საკმარისია...*

## რუსეთი კუნთებს ათამაშებს

3-4

## საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი „უფლის კვართის ორდენით“ დააჯილდოეს



სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი აღსაყდრებიდან 30 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი „უფლის კვართის ორდენით“ დაჯილდოვდა.

ამის შესახებ გადაწყვეტილება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა მიიღო.

სვეტიცხოვლობასთან დაკავშირებით კათალიკოს-პატრიარქმა საზეიმო წირვა-ლოცვა სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში აღავლინა. „უფლის კვართის ორდენი“ სვეტიცხოველში ილია II-ს მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტმა, მეუფე ანანიამ გადასცა.

საქართველო არის ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა. აი ეს ძალა იცავდა წარსულში, დღესაც იცავს და მომავალშიც დაიცავს სრულიად საქართველოს. ბევრი მტერი ჰყოლია საქართველოს, რომელსაც უნდოდა ხერხემალში გადაეტეხა საქართველო, მაგრამ ამაო იყო მათი მცდელობა. ღმერთი დაიცავს და ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი დაიფარავს საქართველოს. ჩვენ უნდა შევუნდოთ ყველას და ღმერთიც შეგვინდობს ჩვენ და მოგვცემს ჩვენი თხოვნის, ჩვენი ლოცვის მიხედვით, — განაცხადა პატრიარქმა ტრადიციული ქადაგებისას.

## მსოფლიოს მოსალოდნელი ახალი სისტემა

6-7





5



## ედუარდ შევარდნაძის ღია წერილი პან გი მუნს და...

*...კლიმატური ცვლილებები და პოლიტიკური კონფლიქტები იმდენად მასშტაბური გახდება, რომ არათუ ჩვენი ცივილიზაცია, საერთოდ სახეობა „HOMO SAPIENS“ ერთხელ და სამუდამოდ გაქრება!*

## სასაფლაოს დამსგავსებული პოლიტიკური ლანდშაფტი

2

## ქართული დაბრკოლება

*თუ ევროკავშირი ვერ გადაწყვეტს და უარს არ იტყვის დამოუკიდებლობის რეალიების შენილბვაზე, ევროპის უშიშროების უზრუნველყოფა სრულად ვერ მოხდება ვერასოდეს. ალბათ, საშინელი დასასრული უკეთესია, ვიდრე დაუსრულებელი საშინელება.*

Guardian

8

## საქართველოს გონივრული გადაწყვეტილებანი

*მიუხედავად იმისა, რომ ორი თვის წინათ მის ტერიტორიაზე შეიჭრა ქვეყანა, რომელიც ოცდაათჯერ მეტია მასზე, საქართველო, როგორც ეტყობა, თავს ართმევს მსოფლიო კრიზისის შედეგებს უკეთესად, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატები და სხვა უდიდესი სახელმწიფოები. უნებლიეთ ჩნდება შეკითხვა: რატომ?*

The Washington Times

ინფორმაცია

## კოსოვოსა და კავკასიის კონფლიქტების შედარება არ შეიძლება

**საქართველოში** არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით ჟენევაში დაგეგმილ შეხვედრამდე გაეროს გენერალური მდივანი პან გი მუნი ევროკავშირისა და ეუთოს წარმომადგენლებს შეხვდა.

როგორც გაეროს ოფიციალური ვებ-გვერდი იუწყება,



გენერალურმა მდივანმა მათთან ერთად საქართველოში გაეროს მომავალი როლი განიხილა.

პან გი მუნის განცხადებით, კოსოვოსა და კავკასიის კონფლიქტების შედარება არ შეიძლება და დაუშვებელია კონფლიქტების ერთმანეთთან მექანიკური დაპირისპირება.

ჟენევაში პან გი მუნი შეხვდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ბერნარ კუშნერს, ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელს საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ხავიერ სოლანას, ასევე, ეუთოს გენერალურ მდივანს მარკ პერენ დე ბრიშამბოს.

## „კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას ალტერნატივა არა აქვს“

**ჟენევაში** საქართველოში უსაფრთხოების საკითხებზე საერთაშორისო კონსულტაციები მიმდინარეობს, რომელშიც საქართველო, რუსეთი, აშშ- ეუთო, ევროკავშირი და გაერო მონაწილეობენ.

რუსეთის ფედერაციის დელეგაციის შემადგენლობაში სოხუმისა და ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებების წარმომადგენლებიც არიან, მათ შორის სერგეი შამბა და ბორის ჩოჩიევი შედიან.

საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები გიგა ბოკერია და გრიგოლ ვაშაძე წარადგენენ. ქართულ დელეგაციაში, ასევე, შედიან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქის ლეგიტიმური სტრუქტურების ხელმძღვანელები. კერძოდ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე მალხაზ აკიშბაია, თავმჯდომარის მრჩეველი ლევან გერაძე, სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დიმიტრი სანაკოევი და ერედვის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი გონერი კაპანაძე.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მალხაზ აკიშბაიას განცხადებით, აფხაზეთში უსაფრთხოებისთვის იქ არსებული სამშვიდობო ფორმატი უნდა შეიცვალოს.

— ამ კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებას ალტერნატივა არ აქვს. ამიტომ უნდა დაიწყოს დევნილების დაბრუნება. ამ პროცესის ხელშემწყობი მექანიზმი კი, უსაფრთხოებაა. უნდა შეიცვალოს იქ არსებული ფორმატი, რომელმაც დისკრედიტაცია განიცადა, — განაცხადა მალხაზ აკიშბაიამ.

## კონვენციიდან გამოსვლა რუსეთის დასჯადობას არ შეამცირებს

**ტერიტორიული** მთლიანობის აღდგენის დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე შოთა მალაშხიას შეფასებით, ეთნოწმენდასთან დაკავშირებული ხელშეკრულებიდან რუსეთის გამოსვლა მის დასჯადობას არ შეამცირებს.

ამის შესახებ მალაშხიამ ჟურნალისტებს ჰააგის სასამართლოში მიმდინარე პროცესებზე საუბრისას განაცხადა.

მალაშხიას განმარტებით, თუ რუსეთი მართლაც გამოვიდა ამ კონვეციიდან, ეს მის დასჯადობას არ შეამცირებს, რადგან დანაშაულის ჩადენისას ამ კონვენციაზე მიერთებული იყო.

თუ მოსკოვი ეთნოწმენდასთან დაკავშირებული კონვეციიდან გამოვა, მალაშხიას განცხადებით, ეს ფაქტი კიდევ ერთხელ დაადასტურებს, რომ რუსეთი ჩვეულებრივი ტერორისტული ორგანიზაციასავით იქცევა და საერთაშორისო სასამართლოებთან კიდევ ერთ დამატებით პრობლემას შეიქმნის.

## გორის რაიონი რუსულმა საფრენმა აპარატმა მოინახულა



**გორის** რაიონის სოფელ მეჯვრისხევში გუშინ რუსული საფრენი აპარატი გამოჩნდა.

ადგილობრივი მოსახლეობა ამბობს, რომ საფრენი აპარატი ოსური მხარის კონტროლირებადი ღრომის ხეობიდან შემოფრინდა.

ღრომის ხეობაში, ოსი სეპარატისტების საგუშაგოს გარდა, რუსი ოკუპანტების ბლოკ-პოსტიც არის განთავსებული.

მოსახლეობა ვარაუდობს, რომ რუსული საფრენი აპარატები ქართულ სოფლებში მოსახლეობის დაშინებისა და ტერიტორიის დაზვერვის მიზნით დაფრინავენ.

რუსული საფრენი აპარატის მიერ საჰაერო სივრცის დარღვევის ფაქტს ქართული ძალოვანი უწყებებიც ადასტურებენ.

## ოსები ქართველების ოჯახებში იჭრებიან

**გორის** რაიონის სოფელ მერეთში ინციდენტი მოხდა. ოსი ეროვნების ხუთი შეიარაღებული პირი თუხარელების ოჯახში შეიჭრა.

თავდამსხმელებმა ოჯახის უფროსი შამილ თუხარელი, მისის მეუღლე და ოჯახის უფროსის ძმა გელა თუხარელი გაიტაცეს. ისინი რამდენიმესაათიანი ტყვეობის შემდეგ გაათავისუფლეს.



ოჯახის წევრები კომენტარს არ აკეთებენ. არაოფიციალური ინფორმაციით კი, თუხარელების გათავისუფლება შიდა ქართლის პოლიციის ჩარევის შემდეგ მოხერხდა.

## სოფელ რიყეში აფხაზებმა ჭურვები ჩამოყარეს

**ზუგდიდის** რაიონის სოფელ რიყეში აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან რამდენიმე ჭურვი ისროლეს.

როგორც ქართული მხარე აცხადებს, ცეცხლი გაიხსნა გალის რაიონის სოფელ დიხაზურგადან. საბედნიეროდ, ჭურვები დასახლებული პუნქტებიდან დაახლოებით ერთი კილომეტრის დაშორებით დაეცა. მოხდა ძლიერი აფეთქება, თუმცა აფეთქების შედეგად არავინ დაზარალებულა.

როგორც ქართული მხარე აცხადებს, ეს არის აფხაზი სეპარატისტების მორიგი პროვოკაცია.

## პენტაგონი თავის ბიუჯეტში ჩვენს დახმარებასაც ითვალისწინებს

**ამერიკის** შეერთებული შტატებიდან საქართველო დახმარების სახით დამატებით 50 მლნ აშშ დოლარს მიიღებს.

შესაბამის დადგენილებას ხელი აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა მოაწერა. დადგენილების მიხედვით, თანხა პენტაგონის 2009 წლის ბიუჯეტში იქნება გათვალისწინებული და მას თავდაცვის უწყება სახელმწიფო დეპარტამენთან შეთანხმებით განკარგავს.

ინტერპრესნიუსი



უკანასკნელი ცნობები

## გატაცებული სეპარატისტები უკან დააბრუნესო?

**ცხინვალის** რაიონის სოფელ კორკულადან გატაცებული ორი ადგილობრივი მოსახლე უკვე გათავისუფლებულია. ამის შესახებ სააგენტო „რეს“-ი იუწყება.

ე. წ. სამხრეთ ოსეთის ადამიანის უფლებათა დამცველის დავით სანაკოევის მტკიცებით, ორი მშვიდობიანი მოსახლე ქართულმა სპეცსამსახურებმა გაიტაცეს.

— ქართული და რუსული მხარეების წარმომადგენელთა მოლაპარაკებების შემდეგ კორკულას ორი მცხოვრები გაათავისუფლეს, ამ დროისთვის ისინი საკუთარ სახლებში იმყოფებიან, — განაცხადა სანაკოევმა.

თავდაპირველად ცხინვალი აცხადებდა, რომ გატაცებულები მშვიდობიანი მოქალაქეები იყვნენ. მოგვიანებით ოსურმა მხარემ გაავრცელა ინფორმაცია, რომ გატაცებულები დე ფაქტო შსს-ს თანამშრომლები არიან და გატაცებაში ქართული სპეცსამსახურები დაადანაშაულა.

## „სამებასთან“ რუსი მოქალაქე დააკავეს

**საკონტროლო-გამტარ** პუნქტზე „სამება“ მესაზღვრეებმა საქართველოში შემოსვლისას რუსეთის ფედერაციის მოქალაქე დააკავეს.

სასაზღვრო უწყების პრესსამსახურის ცნობით, მას პასპორტში „ნიჟნი ზარამაგის“ გავლით საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის თარიღ-დამღები აღმოაჩნდა.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება.

ინტერპრესნიუსი

განსჯა

# სასაფლაოს დამსგავსებული

**აგვისტოს ომის შემდეგ, ქართული „პოლიტიკუმი“, ანუ როგორც 90-იან წლებში უწოდებდნენ, „პოლიტოკრატია“ დიდი მოვლენების მოლოდინით აღივსო.**

**ერთი შეხედვით ლოგიკურია და ასეთი კატაკლიზმი მართლაც უნდა იწვევდეს სერიოზულ ცვლილებებს, როგორც მინიმუმ, ახალ საპარლამენტო არჩევნებს მაინც.**

ქვეყანაში შესაძლოა არა ხელისუფლება, არამედ სისტემა შეიცვალოს და ლეგალური ოპოზიციის აქტიურობით „ჩასაფრებულმა“ არალეგალურმა ძალებმა, თუნდაც იმავე იგორ გიორგაძემ მოიგოს, რის შედეგადაც კარგი დღე არც მათ დაადგებათ, პოზიცია-ოპოზიციონერობის განურჩევლად.

ამდენად, „პრეზიდენტის გადაგდების“ თემა, ამ ეტაპზე მაინც, დღის წესრიგიდან მოხსნილია; მაგრამ ჯერჯერობით გაურკვეველია რას მოიმოქმედებენ, თუკი ხელისუფლება გაზაფხულისათვის საპარლამენტო არჩევნების ჩატარებაზეც უარს განაცხადებს.

არადა, ყველაფერი იმას მეტყველებს, რომ საქმეს სწორედ ამგვარი პირი უჩანს: პარლამენტი არჩეულია 2012 წლის გაზაფხულამდე. ხოლო პრეზიდენტი — 2013 წლამდე. საქართველოს თვისებათა გათვალისწინებით, ეს იმდენად დიდი ვადაა, რომ ისეთი კატაკლიზმიც კი, როგორიც წლეულს გადავიტანეთ, ამ ხნის განმავლობაში, გარკვეულწილად აქტუალობას დაკარგავს, ისევე, როგორც აფხაზეთის ომმა დაკარგა „ელექტორალური აქტუალობა“, ვთქვათ, 1999-2000 წლების არჩევნებისას.

ამრიგად, ქართული „პოლიტიკუმი“ ერთობ ტრაგიკომიკური დილემის წინაშე იმყოფება და არჩევანის გაკეთება უჭირს. თუმცა, პოლიტიკური პროცესის პოტენციურ მონაწილეთა რიგები არათუ თხელდება, არამედ იზრდება. თანაც, წარსულში ცნობილი სახეებით, რომელთა „ცნობადობა“ ამა თუ იმ ნიშნით საზოგადოებრივ ინტერესს მაინც განაპირობებს.

ჯერჯერობით საკმაოდ წარუმატებელია ქალბატონ ბურჯანაძის „ახალი სტარტი“; პარლამენტის თავმჯდომარეობისას იგი ბევრად უკეთ თვლიდა პოლიტიკურ ნაბიჯებს, ვიდრე ხელისუფლების ოპონენტის ამპლუაში.

მთავარი ის კი არ არის, რამდენად გამართლებულია ომთან დაკავშირებული 43 კითხვა და არც ის, თუ რამდენი კითხვა შეიძლება არსებობდეს თვით ქალბატონი ბურჯანაძის მიმართ — 2003 წლის 2 ნოემბრის არჩევნებით დაწყებული, რომელშიც იგი დამარცხდა (ოღონდ მიხეილ სააკაშვილთან და არა ედუარდ შევარდნაძესთან), არამედ ის გარემოება, რომ ჯერ ერთი, რაც მთავარია, ქალბატონ ბურჯანაძეს არა ჰყავს ძლიერი გუნდი!

ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია. ყველას გვახსოვს, რომ თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ სალომე ზურაბიშვილსაც საკმაოდ მაღალი რეიტინგი ჰქონდა და ისიც ამბობდა, რომ სრულებით ახალ სახეებს მოიყვანდა ხელისუფლებაში, მაგრამ მისი ამბიცია დასრულდა უმალვე, როგორც კი ამომრჩევლების წინაშე სრულებით უცნობი, არაფრისმთქმელი სახეებით გარშემორტყმული წარსდგა და ტელემაყურებელს ისღა განუცხადა „აი, ეს ხალხი შევკრიბე — რაც ხართ თქვენ, იგივე არიან ისინიო“. შედეგიც შესაბამისი მიიღო.

არც პარლამენტის ექსთავმჯდომარის გარშემო ჩანან რაიმე პოლიტიკური „შეტყობინების“ მატარებელი სახეები; ხოლო „ოჯახის მეგობრებით“ დაკომპლექტებული გუნდი კარგია იმავე ოჯახში, სუფრაზე და არა პოლიტიკაში. ნინო ბურჯანაძის გვერდით არ არის არც ერთი თვითმყოფადი, თავისთავადი ფიგურა, რომელიც თუნდაც ისეთ ინტერესსა და საზოგადოებრივ ემოციას იწვევდეს (დადებითს თუ უარყოფითს, ამ კონტექსტში არა აქვს მნიშვნელობა), როგორიცაა, ვთქვათ, გიგა ბოკერია.

რაც შეეხება იმ გუნდს, რომელთან ერთად ქალბატონი ბურჯანაძე 2003 წლის არჩევნებში მონაწილეობდა დამოუკიდებლად (დღევანდელი მმართველი გუნდისაგან დამოუკიდებლად), მისი წევრებიც არ ამჟღავნებენ განსაკუთრებულ ენთუზიაზმს, რაკი გემი, რომელზეც დარჩნენ, თითქოს კი ღრჭიალებს, ტორტმანებს, მაგრამ ჯერ არ იძირება.

შეიარაღება



# რუსეთი კუნთებს ათამაშებს

**2008 წლის 9 მაისს, როცა წითელ მოედანზე სამხედრო პარადს რუსეთის ახლადგამომცხვარი პრეზიდენტი იბარებდა, ბევრს ყურადღებიდან გამორჩა ერთი რამ: მას მერე, რაც სსრკ-სა და დასავლეთს შორის „ცივი ომი“ ფორმალურად მაინც დასრულდა, რუსეთმა სამყაროს პირველად უჩვენა თავისი სიამაყე — ატომური სარაკეტო დანადგარი „ტოპოლი“, რომელიც 97 ტონას იწონის, ხოლო სიგრძით 22 მეტრია. მისი „გადაფრენის“ მანძილი კი — 11 000 კმ-ია...** ეს ის მანძილია, რომელიც ჩრდილოეთ ამერიკამდე მისაღწევად საკმარისია... რუსეთის პრემიერ-მინისტრმა, რასაკვირველია, განაცხადა, რომ ეს აღლუმი რუსეთის თავდაცვითი სიძლიერის მაჩვენებელია, რომ სამხედრო სფერო მზადაა დაიცვას საკუთარი ხალხი, საკუთარი სახელმწიფო, სიმდიდრე, რომლის ნაკლებობას არ უჩივის. ამავე დროს რუსეთის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა ირანის მიმართ გაეროს უშიშროების საბჭოს 3 მარტის რეზოლუციის აღმასრულებელ ბრძანებულებას, რომლის მიხედვითაც ირანს ეკონომიკური სანქციები უწესდება. თუმცა იმის გათვალისწინებით, თუ როგორ იცავს კრემლი თავისსავე ხელმოწერილ შეთანხმებას, საფრანგეთის პრეზიდენტი და საგარეო საქმეთა მინისტრი უფრო მეტ ინფორმაციას ფლობენ. ფაქტია, რომ საერთაშორისო ურთიერთობები თანდათან მილიტარიზებული ხდება და ამ ფონზე რუსეთის ნებისმიერი „სამშვიდობო ინიციატივა“ თუ „არასაბრძოლო მანევრი“ გაათმაგებულ მეთვალყურეობას ითხოვს. ისიც ფაქტია, რომ ატომურ რუსეთთან მიმართებაში, რომელიც სსრკ-ის სამხედრო ტრადიციებს ღირსეულად აგრძელებს და ხარისხით თუ არა, რიცხოვნობით მაინც ანგარიშგასაწევია, მსოფლიო თავის სამხედრო ურთიერთმიმართებებს გადახედავს, მაგრამ არა ორი ახალი წევრის მიღების საშუალებით. ამპარტავან რუსეთს საკუთარი თავის პატივისცემისთვის მეზობელი საქართველოს ოკუპაცია დასჭირდა. რას მოიმოქმედებს იგი ამჯერად იმისთვის, რომ საყოველთაო პატივისცემა დაიმსახუროს, წარმოდგენაც კი ცუდ გუნებაზე დაყენებს ადამიანს. თანაც ხანდახან მაინც გამოსჭვივის ხოლმე რუსული ორთავა ერთხელისუფლებიანობის ბზარები, უფრო სწორად ნაკაწრები. თუმცა ისეთ დროს, როცა ქვეყნის ფაქტობრივი მხედართმთავარი ჩეჩნეთის ომის გენერალი პუტინია, ეს ნაკაწრები კიდევ უფრო მეტი დაკვირვებისა და სიფრთხილის საგანი უნდა გახდეს.

8 ოქტომბერს გაზეთ „The Time“-ში გამოქვეყნდა ტონი ჰელპინის სტატია, სადაც ავტორი შეშფოთებით წერს, რომ 1984 წლიდან მოყოლებული რუსეთი პირველად დაიწყებს ფრთოსანი რაკეტების გამოცდას, რომ 20-მდე ტვირთიანი ბომბდამშენი აფრინდება ცაში, რათა თავისი ფრთოსანი რაკეტები გამოსცადოს. ბომბდამშენების გამოცდამ უნდა შეამოწმოს ატომური დაშინების იარაღის მზადყოფნა. ბელორუსიასთან ერთად ჩატარებულ ამ სწავლებებს (კოდური სახელწოდება „სტაბილურობა 2008“ძ აგვისტოს კრიზისის შედეგები და რუსეთის დასავლეთთან დაპირისპირება დაემთხვა. პირველად ამ სწავლებებზე ეკიპაჟები სრული საომარი დატვირთვით იმოქმედებენ. „იქნება ფრთოსანი რაკეტების გაშვება, „ტუ-160“-სა და „ტუ-95მს“-ის სრული საომარი კომპლექსის გამოყენება“, — განუცხადა სააგენტო რია „ნოვოსტის“ რუსეთის სამხედრო ძალების პოდპოლკოვნიკმა ვლადიმირ დრიკმა. ამ სწავლებებში რუსეთის გაერთიანებული ფლოტის მესამედი მიიღებს მონაწილეობას. თავად დრიკმა ისიც თქვა, რომ ეს სწავლებები უპრეცედენტოა თავისი მასშტაბებით და მოიცავს სტრატეგიულ ბომბდამშენებს „ტუ-22მ3“, სამხედრო გამანადგურებლებსა და თვითმფრინავ-შემპყრობებს. დასავლეთის სამხედრო ექსპერტები ამ პომპეზურ სწავლებებს კუნთების თამაშად აფასებენ. ბოლო წლის განმავლობაში ნატოს გამანადგურებლები არაერთხელ აფრინდნენ ჰაერში, რათა თვალი მიედევნებინათ „ტუ-95მს“ მოძრაობისთვის, მას მერე, რაც პუტინმა პირველად 15 წლის განმავლობაში 24-საათიანი პატრულირების რეჟიმი შემოიღო.

ამას წინათ რუსეთის შეიარაღებული ძალები კუბაზე თავისი სტრატეგიული ბომბდამშენების განლაგების თაობაზე ალაპარაკდნენ, როგორც აღმოსავლეთ ევროპაში ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო ფარის აღმართვის პასუხზე, რაც 1962 წლის სარაკეტო კრიზისის განახლების საშიშროებას ქმნის. წინა თვეში ორი „ტუ-160“ პირველად დაეშვა ვენესუელაში. ანტიამერიკულად განწყობიულმა უგო ჩავესმა ამას აშშ-სადმი გაგზავნილი „გაფრთხილება“ უწოდა.

კრემლმა ატომური „პიოტრ ველიკი“ და ნავსაწინააღმდეგო გემი „ადმირალი ჩაბანენკო“ ვენესუელასთან ერთად კარიბის ზღვაში გამართულ სამხედრო წვრთნებზე გაგზავნა. ცივი ომის დამთავრების შემდეგ ეს არის ლათინური ამერიკის ნაპირებთან რუსეთის პირველი სამხედრო-საზღვაო რეისი. ის, რომ რუსული გემები ჰიბრალტარის ყურის გავლით ამოძრავდნენ, გახლდათ ნატოსათვის განკუთვნილი გამოწვევა. ცივი ომის განმავლობაში ეს ამ მარშრუტით რიგით მეორე გასვლაა. გემები ლიბიასა და სირიისკენ გაემართნენ. ტრადიციულად ეს ორი სახელმწიფო საბჭოთა გემების პორტებს წარმოადგენდა. ამ მანევრებში რუსეთის წყნარი ოკეანის ფლოტის გემები და წყალქვეშა ნავებიც მონაწილეობდნენ. რუსეთი აცხადებს, რომ ფართომასშტაბიანი ერთთვიანი სამხედრო სწავლებები 21 ოქტომბრამდე გაგრძელდება. სწავლება კი იმისთვის მიმდინარეობს, რომ დამუშავდეს სტრატეგიული შეიარაღების გამოყენების მეთოდები, მათ შორისაა საჰაერო, საზღვაო და სახმელეთო ბაზირების ატომური ტრიადა“.

* * *

12 ოქტომბერს „ტოპოლი“ მოქმედებაში გამოიცადა. რუსეთის მთავარსარდალმა დმიტრი მედვედევმა სამხედრო წვრთნების „სტაბილურობა 2008“-ის ფარგლებში მიმდინარე სწავლებების დროს განაცხადა, რომ საკონტინენტთაშორისო ბალისტიკურმა რაკეტამ „ტოპოლმა“, რომელიც კოსმოდრომ პლისეცკიდან აფრინდა, მიზანი პოლიგონზე „კურა“ წარმატებით გაანადგურა. „ამოცანა შესრულებულია და შესრულებულია წარმატებით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ტექნიკა მუშაობს ისე, როგორაც ეს დაგეგმილი იყო. რუსეთი კვლავ გააძლიერებს თავის საომარ შემადგენელს. რასაკვირველია, შეიარაღებით ახალი ძალებითა და საშუალებებით. გავაგრძელებთ ტრადიციული ბალისტიკური რაკეტების გაშვებას. ეს ძალიან კარგია, რადგან აჩვენებს, რომ ჩვენი ფარი წესრიგშია“, — დასძინა მან.

კამჩატკაზე განლაგებული სასწავლო პოლიგონის სახელწოდება უცნაურად ქართული მდინარის რუსული სახელწოდების სეხნია აღმოჩნდა. მაგრამ უფრო საყურადღებო ის გახლავთ, რომ, როგორც ექსპერტები თვლიან, „ტოპოლი“ ევროპაში გაშლილი ამერიკული ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემის მიმართ რუსული პასუხის ერთ-ერთ ვარიანტად განიხილება.

ორი დღით ადრე კი ამერიკულმა გაზეთმა „The Christian Science Monitor“ გამოაქვეყნა სტატია სახელწოდებით „საქართველოში ომის დროს რუსეთმა თავისი ჯარის ხარვეზები დაინახა“. ფრედ ვეირი წერს, რომ მიგდებულობის, მოძველებული ტექნოლოგიების და არაეფექტიანი გაწვევის სისტემის გამო რუსული ჯარის სიძლიერე შესუსტდა. „მსოფლიოში შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ამ ზაფხულს რუსულ-ქართული ხუთდღიანი ომის დროს საბჭოთა მასშტაბების სატანკო შენაერთებმა გადაიარეს დაუცველი მტრის ტერიტორიაზე. მაგრამ მოსკოვი ამ საკითხს სხვაგვარად უყურებს. „ომმა აჩვენა, რომ ჩვენ არ გვყოფნის ტექნიკა, წვრთნა, კოორდინაცია საველე პირობებსა და დაზვერვაში“, — აღნიშნავს კარნეგის მოსკოვური ცენტრის ექსპერტი ალექსეი არბატოვი. აგვისტოს კონფლიქტმა, ფაქტობრივად, უბიძგა იმას, რომ თავდაცვითი სექტორი 30 პროცენტით გაიზრდება და შემუშავდება სამხედრო ძალების მოდერნიზაციის გეგმა. ეს კი ნავთობის მოგებისგან მიღებული დანაზოგებითა და პატრიოტიზმის გრძნობების მომძლავრების საშუალებით მოხდა.

იხ. 4 გვ.

განსჯა

# პოლიტიკური ლანდშაფტი

მეორე, არანაკლებ არსებითი მიზეზი წარუმატებელი სტარტისა, ალტერნატიული პროექტის არარსებობაა.

ომის შედეგები ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, მაგრამ საკმარისი არ არის, რაკი „43 შეკითხვის“ ჭეშმარიტი ადრესატი (ანუ ხალხი და არა ხელისუფლებაძ კითხულობს: „კი, მართალია, მერედა რა, — შენ რას გვთავაზობ?“

2007 წლის სექტემბერში ირაკლი ოქრუაშვილის „მძლავრი სპურტი“ მხოლოდ და მხოლოდ იმან განაპირობა, რომ მან კითხვები კი არ დასვა, არამედ გაბოროტებული და გაანჩხლებული „პროტესტული სოციუმის“ კითხვებს თავად უპასუხა და ახალ რევოლუციას შეჰპირდა — კონკრეტული ფაქტებისა და ბრალდებების სახით. თანაც არა აკადემიურ-ეპისტოლარულ ჟანრში, არამედ მასისთვის გასაგებ, აგრესიულ ენაზე.

ცოტა უფრო მეტი გაურკვევლობაა ზურაბ ნოღაიდელთან დაკავშირებით. „მემარჯვენეთა“ ლიდერი დავით გამყრელიძე ერთ-ერთ ინტერვიუში განცვიფრებით აღნიშნავდა, რომ კონფიდენციური შეხვედრა ჰქონდა ყოფილ პრემიერთან, მაგრამ შემდეგ „ეს შეხვედრა ან ხელისუფლებამ, ან თვით ნოღაიდელმა გააპიარა“.

ანუ „ახლებს“ სულაც არ ეპიტნავებოდათ შეხვედრის განსაკუთრებული გახმაურება, მაგრამ მისმა ინიციატორმა (თვით ნოღაიდელმაძ ამცნო ამის შესახებ მედიას.

ეს დეტალი ზუსტად მეტყველებს ყოფილი პრემიერის ჭეშმარიტ მოტივზე. სინამდვილეში მას უფრო მეტად პოლიტიკური ანგაჟირება სჭირდება, ვიდრე რეალურად პოლიტიკაში დაბრუნება.

მაგალითის სახით შეგახსენებთ ავთანდილ ჯორბენაძის მოქმედებას 2003 წლის რევოლუციის შემდეგ: იმ ვითარებაში, როდესაც ხელისუფლებას შეიძლებოდა ყოფილ სახელმწიფო მინისტრთან „კითხვები გასჩენოდა“, მან დაუყოვნებლივ ჩამოაყალიბა პოლიტიკური პარტია (შესაბამისი „არაოფიციალური იმუნიტეტის“ მოსაპოვებლადძ, რომლის სახელწოდება ახლა აღარავის ახსოვს.



მესამე „მომბრუნებელი“ თითქოს მედია-მეწარმე ეროსი კიწმარიშვილია. თუმცა, მისი გახმაურებული ინტერვიუ უფრო ალიბის მოპოვების ინტენციითაა ნაკარნახევი, ვიდრე პოლიტიკაში რეალურად დაბრუნების სურვილით. ესეც მისთვის უარეს შემთხვევაში. უკეთეს შემთხვევაში კი მომავალი მემუარების პირველი თავია — იმ როლის გათვალისწინებით, რაც ამ მოღვაწემ შეიტანა ქვეყნის უახლეს ისტორიაში.

პოლიტიკაში დაბრუნებას არა მხოლოდ ყოფილი სახელისუფლებო სახეები ცდილობენ, არამედ ოპოზიციური ლიდერებიც.

„გაერთიანებული ოპოზიციის“ მესვეურებს ტყუილად ჰგონიათ, რომ მას შემდეგ, რაც გაზაფხულზე (13 იანვრიდან — 21 მაისამდეძ მოხდა, პოლიტიკაში დაბრუნება მათთვისაც იოლი იქნება. პირიქით, უფრო ძნელიც კი შეიძლება გამოდგეს — მასის ფსიქოლოგიის გათვალისწინებით.

„იმავე მდინარეში“ ორჯერ შესვლის მოსურნენი მასას არ უყვარს. მით უმეტეს მას შემდეგ, რაც თავდაპირველი მოლოდინი გაუცრუვდა.

ლევან გაჩეჩილაძე, კახა კუკავა, ზვიად ძიძიგური, ძმები ბერძენიშვილები (ერთი სიტყვით ყველა, ოქრუაშვილის „მოუქანცავი კოჰორტის“ გარდაძ დღეს ბევრად უფრო ფრთხილნი და წინდახედულნი გახდნენ და „რევოლუციას“ აღარავის პირდებიან, რათა ისევ არ შექმნან ფუჭი მოლოდინი.

მაგრამ საქმეც ისაა, რომ სოციუმის ის ნაწილი, რომელზეც აპელირებდნენ, მისი მენტალური მოცემულობებიდან გამომდინარე, „ზომიერებას“ და „მოლოდინის გაცრუებას“ არასდროს არავის აპატიებს.

მთლიანობაში, რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს ამის აღიარება, ობიექტური და სუბიექტური მიზეზებისა თუ რეალურად არსებული გარემო-პირობების გამო, საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი სასაფლაოს დაემსგავსა, რომელზეც დრო და დრო შესაბამისი შემზარავი პერსონაჟები დაძრწიან — ალბათ, „ნიუიორკელი მესიის“ მოლოდინში; რაკი ყველა დანარჩენი, ვინც კი ქართულმა პოლიტიკუმმა შეიძლება „მოიხმოს, იმავე „ლანდშაფტის“ ბინადარია.

**ნიკა ვაშაკიძე,**
**ჯი-ეიჩ-ენი.**

შეიარაღება

# რუსეთი კუნთებს ათამაშებს



(მესამე გვერდიდან)

„რუსეთში ბოლო დროს ბევრი რამ შეიცვალა და ახლა ქვეყანაში სულაც არაა ის სიტუაცია, რაც ადრე იყო. – ამბობს მოსკოვში მოქმედი უსაფრთხოების საკითხების დამოუკიდებელი კვლევითი ცენტრის „პირ-ცენტრის“ უფროსი მრჩეველი გენადი ევსტაფიევი – საზოგადოება ახლა მხარს დაუჭერს სამხედრო სფეროს დიდ რეფორმას, მიუხედავად იმისა, რომ ამას თანამედროვე ფინანსური სიძნელეები დაერთვება. ბევრი ის საკითხი, რაც მრავალი წლის განმავლობაში ჩიხში იყო, ახლა გადაწყვეტის წერტილიდან დაიძვრება“. რუსეთის თავდაცვითი ბიუჯეტი გაისად, როგორც მოსალოდნელია, პოსტსაბჭოთა ეპოქის სარეკორდო დონეს – 50 მლრ. დოლარზე მეტს მიაღწევს. შემდგომ წლებში კი ასევე მოსალოდნელია ანალოგიური ზრდა.

ზრდა, რომლის შესახებაც სექტემბრის ბოლოს პრემიერ-მინისტრმა ვლადიმირ პუტინმა განაცხადა, უზრუნველყოფის პროგრამის 200 მლრ. დოლარამდე გაზრდას გულისხმობს. იგი მიმართული იქნება ქვეყნის დაძაბუნებული სტრატეგიული ძალების აღსადგენად. რუსულ სამხედრო ძალებს, რომელიც სამხრეთ ოსეთში შევიდა, ქართული არტილერიისა და ჯარების განლაგების შესახებ სადაზვერვო ინფორმაციაც კი არ ჰქონდათ, რის გამოც რამდენიმე წამყვანი ქვედანაყოფი ჩასაფრებაში მოჰყვა. ამის გამო უეცარი იერიშისას 58-ე არმიის გენერალი ანატოლი ხრულევი მძიმედ დაიჭრა და ევაკუირებულ იქნა. რუსებმა ინფორმაციის მოპოვების სასოწარკვეთილ მცდელობაში ბრძოლის ველზე „ტუპოლევის“ ელექტრონული დამზვერის ვერსია გააგზავნეს – გამანადგურებელი ტუ-22მ და იგი ჩამოგდებულ იქნა. სულ რუსეთმა ოთხი თვითმფრინავი, მათ შორის სამი გამანადგურებელი სუ-25 დაკარგა მაშინ, როცა საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა თავისი ეფექტურობა აჩვენა. ზოგიერთმა რუსმა მეთაურმა თავის ქვედანაყოფთან კავშირისთვის მობილური ტელეფონი გამოიყენა, რადგანაც რაციები გაუფუჭდათ.

ამას გარდა, რუსული არმიის ტანკებს თავისი იარაღისთვის არ ჰქონდათ ღამის დამიზნება, ხოლო ის სარაკეტო ჯავშანი, რომელიც შემუშავდა ქართული ტანკსაწინააღმდეგო იარაღისთვის, არაეფექტური აღმოჩნდა.

რუსული სამხედრო დოქტრინა იმას გულისხმობს, რომ შეიარაღებულ ძალებს უნდა ჰქონდეთ უნარი აწარმოონ ფართო ომი დასავლეთსა და შორეულ აღმოსავლეთში და გაუმკლავდნენ ერთბაშად ორ ადგილობრივ კონფლიქტს. მოსკოვი ეყრდნობოდა საბჭოთა ეპოქის გაცვეთილ სარაკეტო ძალებს, რათა მსხვილი მტრები დაეშინებინა. ჩეჩნეთში კი მეამბოხე სეპარატისტებთან თავისი ჩვეულებრივი შეიარაღებით წარმატებით აწარმოებდა ომს. რუსეთისთვის საქართველოში შეჭრამდე ჩეჩნეთი ერთადერთი აქტიური კონფლიქტი იყო.

წინა კვირას მედვედევმა განაცხადა, რომ სამხედრო ძალების მოდერნიზაცია ნებისმიერი კრიზისის მიუხედავად უნდა მიმდინარეობდეს. მას მხედველობაში ფინანსური კრიზისი ჰქონდა. მედვედევმა დაამატა, რომ რუსეთის ეკონომიკა მყარია, რომ მას მატერიალური და ინტელექტუალური რესურსის საკმარისი რაოდენობა აქვს იმისთვის, რომ არავისზე იყოს დამოკიდებული.

სამხედრო ანალიტიკოსების აზრით, მოსკოვი უშუალო საფრთხეს დასავლეთის მხრიდან არ გრძნობს მიუხედავად იმ მზარდი წინააღმდეგობებისა, რომელიც აღმოსავლეთ ევროპაში ამერიკის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების განლაგებას და ყოფილი სსრკ-ის ტერიტორიაზე ნატოს დაგეგმილი გაფართოების საკითხს ეხება.

„ჩვენ ნატოს სახიფათო ორგანიზაციად ვთვლით, მაგრამ ამჟამად არა ისე ძლიერ ორგანიზაციად. – განაცხადა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ანდრეი კლიმოვმა. – პრობლემა ის არის, რომ ნატო უფრო საშიში გახდება, თუ იგი ისეთ ქვეყნებს მიიღებს, როგორიცაა საქართველო და უკრაინა. ცივი ომის დროს, როცა ნატოში მხოლოდ აშშ და დასავლეთის ქვეყნები იყო, ალიანსი უფრო სტაბილური და პროგნოზირებადი გახლდათ. ახლა ჩვენ გვაქვს საკმაო რესურსი, რომ დავიცვათ თავი, მაგრამ სამომავლოდ იძულებული ვიქნებით ამაზე ვიფიქროთ.“

ჯარს იმედი აქვს მიიღოს ჩვეულებრივი შეიარაღების ახალი თაობა, მათ შორის ვერტმფრენები, გამანადგურებლები, მრავალმიზნობრივი გადამზიდები ჯარისთვის, ისეთივე როგორიცაა ამერიკული Bradley. „რუსეთს არც კი აქვს ზოგიერთი ის იარაღი, რაც საქართველოს აქვს, მაგალითად, უპილოტო დამზვერი თვითმფრინავები“, – აცხადებს ვლადიმირ ევსეევი, მოსკოვში უსაფრთხოების ცენტრის დამოუკიდებელი ანალიტიკოსი.

რუსეთის სამხედრო გაწვევის წინააღმდეგობრივი სისტემა ომისათვის ასევე არაპერსპექტიულია. პროფესიონალი ჯარისკაცები თავის თავზე იღებენ ომის ყველა სიძნელეს, მაშინ, როცა ცუდად გაწვრთნილი წვევამდელები, რომლებიც მხოლოდ ერთ წელს მსახურობენ, ცდილობენ საბრძოლო ველიდან თავი შორს დაიჭირონ. „დაქირავებული ჯარისკაცი სუსტდება. ჩვენ გვჭირდება პროფესიონალი ჯარისკაცები, სერიოზული წვრთნები“, – ამბობს გენერალი ევსტაფიევი.

200 მლრ. დოლარზე გათვლილი ხანგრძლივი პროგრამის მიხედვით რუსეთი თავის ქვეით არსენალსა და საკონტინენტთაშორისო რაკეტებს განაახლებს; ააშენებს ატომური წყალქვეშა ნავების ფლოტს, რომელსაც წყალქვეშა რაკეტებით „ბულავა-3“-ის გაშვების უნარი აქვს; თავის ძალებს სტრატეგიული ბომბდამშენებით შეავსებს; ააშენებს ახალ გემებს, მათ შორის ექვსამდე ავიამზიდს.

საკითხავი კი ისაა, შესაძლებელია თუ არა გამოფიტული რუსული სამრეწველო კომპლექსი სამხედრო ტექნიკის შესყიდვის ამბიციური გეგმების უზრუნველყოფას დიდი კაპიტალდაბანდებების და გამოცდილი მენეჯმენტის გარეშე? „სურვილი ჩვენს გენერლებს აქვთ, მაგრამ სად აიღებენ ისინი ტექნიკას? – კითხულობს ვიტალი შლიკოვი, თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო მრჩეველი. – ბოლო 20 წლის განმავლობაში ეს კომპლექსი ვარდნას განიცდიდა და დღესაც ჩვენი ყველაზე კარგი ხელმძღვანელები ნავთობისა და გაზის სფეროში გადავიდნენ. შესაძლებელია, კლიმატი კეთილგანწყობილია თანხების ჩადებისთვის, მაგრამ ფუნდამენტალური რეფორმების გარეშე ეს ცარიელი სიტყვები იქნება.“

11 სექტემბრის „New-York Times“ (ავტორები **უილიამ ბროადი და დევიდ სენდერი**) თითქოს ეხმიანებიან ფრედ ვეირის სტატიას და გვამცნობენ, რომ ამჯერად ატომური ენერგიის საერთაშორისო ინსპექტორები შემდეგ თემაზე ატარებენ მოკვლევას: ვიღაც რუსი მეცნიერი ირანს ატომური იარაღის დეტონირების რთული ექსპერიმენტების ჩატარებაში დაეხმარა. ამ გამოძიების ფარგლებში მაგატე მოიძიებს ინფორმაციას იმ მეცნიერის თაობაზე, რომელიც, როგორც თვლიან, მრჩევლის როლში საკუთარი ინიციატივით გამოვიდა, ხოლო მისი ფუნქცია აღნიშნული სააგენტოს მიერ მოპოვებულ ანგარიშშია მოცემული. იგი მიჩნეულია ჭეშმარიტ დოკუმენტად. მაგატეს აზრით, მეცნიერი არ გამოდიოდა რუსეთის მთავრობის სახელით, მაგრამ მაგატემ არც ის ახსნა, თუ რატომ თვლიან ისინი ასე. ეს კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, რომ ირანი მუშაობს ატომური იარაღის შექმნაზე, მიუხედავად მისი განცხადებისა, რომ ბოლო 2 ათეული წლის განმავლობაში იგი მხოლოდ ელექტროენერგიის მიღებას ცდილობს. მაგატეს მთავარი ინსპექტორი ოლი ჰეინონენი აცხადებს, რომ ირანში იმ დეტონატორების საცდელ ქვებლი საუწყობოში მიმდინარეობდა, რომლებიც უმრავლესი ტიპის ატომური შეიარაღებისთვის პრინციპულად აუცილებელია. ფარსის ენაზე დაწერილი ამ ანგარიშის არსებობა იმაზე მიუთითებს, რომ ეს ექსპერიმენტები ნამდვილად ტარდებოდა. მაგრამ არ ცხადდება, თუ როგორ იქნა მიღებული ეს ახალი დოკუმენტი. პირველად კი იგი სააგენტოს ანგარიშში 18 მაისს ასახულა იმ 18 დოკუმენტს შორის, რომლებიც ირანს წარუდგინეს. მიზეზი: ირანი ეჭვობტანილია ბირთვული შეიარაღების ცდების ჩატარებასთან დაკავშირებით. წინა თვეში კი მაგატეს ანგარიშში აღინიშნა, რომ ირანმა, შესაძლებელია, მიიღო „უცხოური ექსპერტის დახმარება“ დეტონაციის ცდების ჩასატარებლად. ამ უცხოელ ექსპერტში კი რუსი მეცნიერი იგულისხმება. რუსეთი აცხადებს, რომ გამოდის ირანის მიერ ნებისმიერი ატომური იარაღის შექმნის წინააღმდეგ, თუმცა ირანის ბირთვული პროგრამის რამდენიმე სეგმენტში რუსული კომპანიების წარმომადგენლებისა და კერძო პირების მუშაობას დიდი ხნის ისტორია აქვს. 1990 წლების ბოლოს რუსეთის სამეცნიერო-ტექნიკური ელიტა, რომელსაც სსრკ-ის დანგრევამ ძლიერი დარტყმა მიაყენა, ირანს დაუკავშირდა. ირანი კი მათ გაწეული სამსახურისთვის მყარ ვალუტას უხდიდა.

* * *

ბუნდოვანია რუსეთის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, მიჰყიდის თუ არა იგი თავის საზენიტო-სარაკეტო დანადგარ „ს-300“-ს ირანსა და სირიას. მოსკოვში მედვედევისა და ოლმერტის შეხვედრის შემდეგ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ანდრეი ნესტერენკომ კითხვაზე, შეჰპირდა თუ არა მოსკოვი იერუსალიმს, რომ ამ სრულყოფილ იარაღს ირანს არ მიჰყიდის, მან უპასუხა: „ჩვენ ყველაზე მაღალ პოლიტიკურ დონეზე არაერთხელ განვაცხადეთ, რომ არ ვაპირებთ მივაწოდოთ ასეთი ტიპის შეიარაღება იმ ქვეყნებს, რომლებიც, რბილად რომ ვთქვათ, არასტაბილურ რეგიონებში მდებარეობენ. ეს არ არის ჩვენი ქვეყნის ინტერესებში. ჩვენი ინტერესია დედამიწის ნებისმიერ რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნება. რუსეთი შეიარაღების სისტემის გაყიდვის გადაწყვეტილებას მიიღებს იმ პრინციპიდან გამომდინარე, რომ საჭიროა ამ რეგიონში ძალთა ბალანსის შენარჩუნება, ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნას ამ რეგიონში სტაბილურობისა და უსაფრთხოების შენარჩუნება.“

* * *

აგვისტოს შუა რიცხვებში რუსეთსა და ისრაელს შორის სავიზო რეჟიმის გაუქმების ფონზე ორივე ქვეყანა ერთმანეთისადმი ლოიალობის დადასტურებას ცდილობს. მაგრამ რუსი პოლიტიკოსების ზოგადი ფრაზების უკან ყოველთვის იმალება არაზოგადი ქარაგმა, რაც შეუიარაღებელი თვალითაც დაინახება. ფრაზა „ნებისმიერ რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნება“ ითქვა საქართველოში რუსეთის ბლიცკრიგისა და დე ფაქტო ხელისუფლებების ცალმხრივად დაკანონების კონტექსტში (თუ არ ჩავთვლით „ჰამას“, „ჰეზბოლას“ და სერბსკაია კრაინას). ამგვარად, **ნიკარაგუასა და სომალის პარლამენტებმა თავიანთი პირველი კაცების ინიციატივას საქართველოდან მიტაცებული ტერიტორიების სახელმწიფოდ ცნობასთან დაკავშირებით მხარი არ დაუჭირესო. ასევე ცხადია, თუ რას ნიშნავს რუსეთისთვის ძალთა ბალანსი. რუსეთი ევროპით მანიპულირებისთვის ამჯერად არა მარტო გაზსა და ნავთობს გამოიყენებს, არამედ თავის მრავალმილიარდიან სამხედრო ბიუჯეტს, და ყველაზე მგრძნობიარე, ამერიკისთვის „ნერვების მომშლელ“ ირანსაც... ფრანგულ ავიენში გამართულ შეხვედრაზე დ.მედვედევმა განაცხადა, რომ ევროპელები უნდა გამოვიდნენ ნატოდან, გაერთიანდნენ ამერიკის წინააღმდეგ და შევიდნენ ახალ ორგანიზაციაში, მის მიერ მოფიქრებულში, რომელსაც დაერქმევა ოტამი – „მოსკოვის ავტოკრატების ხელშეკრულების ორგანიზაცია წერს „ესპანური გაზეთი „ABC“ და იქვე დასძენს, – „რუსული იმპერია ისტორიკოსების თემაა. ჩვენ ევროპელები ვცდებოდით, როცა მოსკოვს თავისი საოცნებო სიდიადის შესახებ წავახალისებდით. ისინი არა მარტო აუსრულებელია, არამედ – მავნეც. ყველაზე კარგად კი ამას საქართველოში აგიხსნიან“.**

ია მერკვილაძე,
„სრ“ საკ. კორ. ნიუ-იორკი, აშშ

ინფორმაცია

## გელათის მონასტერს რეკონსტრუქცია უტარდება

**გელათის სამონასტრო კომპლექსის სარეაბილიტაციო პროექტის ფარგლებში, კომპლექსის არქიტექტურულ-არქეოლოგიური აზომვა, არქეოლოგიური შესწავლა და მთელ ტერიტორიაზე არსებული არქიტექტურის კონსტრუქციული და საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა დასრულდა.**



**როგორც კულტურის სამინისტროდან იტყობინებიან, პროექტი ითვალისწინებს ძეგლის კომპლექსურ რეაბილიტაციას – უშუალოდ კომპლექსის რესტავრაცია-კონსერვაციას და თანამედროვე ინფრასტრუქტურის შექმნას, რაც აუცილებელი პირობაა ძეგლის ფუნქციონირებისთვის.**

**პროექტის პირველ ეტაპზე გერმანელი ექსპერტების უვე ლოიხმანისა და ანაბელ გონსალესის დახმარებით, შესაძლებელი გახდა თანამედროვე სტანდარტებით კომპლექსის სრული არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომების მიღება. ასევე დასრულდა კომპლექსისა და მიმდებარე ტერიტორიის ზონირების პროექტი.**

**კონსერვაცია-რესტავრაციის სფეროში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით, საქართველომ, გერმანულ მხარესთან დაგეგმა ურთიერთთანამშრომლობა.**

**პროექტის შემსრულებელია სახელმწიფო ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაცია – „საქართველოს მემკვიდრეობა“.**

## გადაამოწმეთ საკუთარი გვარი საარჩევნო სიაში!

**„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ საკუთარ ამომრჩეველს აქტიურობისა და საარჩევნო სიაში საკუთარი გვარის გადამოწმებისკენ მოუწოდებს.**

**საპარლამენტო უმცირესობის წევრმა მაგდა ანიკაშვილმა და „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ წარმომადგენელმა ცესკოში გოჩა ჯოჯუამ გუშინ საგანგებო ბრიფინგი გამართეს და ამომრჩევლებისთვის საჭირო განმარტებებზე ისაუბრეს.**

**მათი თქმით, კანონით დადგენილი წესის თანახმად, ამომრჩეველს საარჩევნო სიაში თავისი გადამოწმება 18 ოქტომბრამდე შეუძლია.**

**– გთხოვთ, გამოიჩინოთ მაღალი პოლიტიკური აქტიურობა და ნურავის მისცემთ საშუალებას, რომ საარჩევნო სიაში თქვენი არარსებობით ისარგებლოს, – განაცხადეს „ქრისტიან-დემოკრატებმა“.**

ინტერპრესნიუსი

SIC!

***ეკოლოგიის პრობლემა დღეს კაცობრიობის თავზე დაღერებული მახვილია. ვბეჭდავთ ბატონ გუგული ქებურიას წერილს, რომელიც ეკოლოგიური უსაფრთხოების კონცეფციის ავტორია და ამ საკითხისადმი მიძღვნილ საქართველოს ექსპრეზიდენტის, ბატონ ედუარდ შევარდნაძის ღია წერილ-გაფრთხილებას გაეროს გენერალური მდივნის პან გი მუნის, გაეროს წევრი ქვეყნების წარმომადგენლების, საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების, მსოფლიოს ყველა მოქალაქისადმი, რომელიც გვაფრთხილებს, რომ კაცობრიობას დიდი საშიშროება ელის.***




მრავალი გამოჩენილი მეცნიერის აზრით, ეკოლოგიურად უმართავი ანთროპოგენური საქმიანობით გამოწვეული ბიოსფეროს ალრევითი პროცესები 2030 წლისთვის მიაღწევენ ბიფურკაციის წერტილს, რის შემდეგაც ზვავისებურად სწრაფად განვითარდებიან და ბიოსფერო გადავა ისეთ ფაზაში, რომელიც განაპირობებს ადამიანის, როგორც სახეობის სამუდამო გადაშენებას.

კლიმატური ცვლილებების ექსტრემალური მოვლენები ბევრად უფრო სწრაფად ვითარდება, ვიდრე მათ შესაჩერებლად მიმართული გარემოსდაცვითი ღონისძიებები. ამ დასკვნას ადასტურებს გაეროს კლიმატური ცვლილებების სამთავრობათშორისო ექსპერტთა ჯგუფის მეოთხე მოხსენება.

კავკასიონზე თოვლის საფარი უკვე შემცირდა ერთი მესამედით და ეს პროცესი დღითი დღე ძალას იკრებს. გაზაფხულის წყალდიდობების შემდეგ, მდინარეებში მკვეთრად დაეცემა წყლიანობა, რაც გამოიწვევს საირიგაციო სისტემების პარალიზებას. მცენარეთა ვეგეტაციის პერიოდში გვალვები აღუდგენელ ზიანს მიაყენებენ მოსავალს.

გააქტიურდება მეწყერსაშიში კერები (საქართველოში არსებული 2000 კერიდან 700-ია განსაკუთრებულად საშიში), ღვარცოფები და წყალდიდობები, სტიქიები აქამდე არნახული ინტენსიურობით შეუტევენ ისედაც დასუსტებულ ეკოსისტემას. საქართველოს მცირემიწიანობის პირობებში, სადაც მიწების 33 პროცენტი ეროზიას განიცდის, ჩვენ ვერ ვაჩერებთ გაუდაბნოებისა და ეროზიულ პროცესებს.

აკადემიკოს გივი სვანიძის განსაზღვრით, მდინარე ჭოროხზე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის დამთავრების შემდეგ, ზღვა ყოველწლიურად 150 მეტრით შეუტევს აჭარის სანაპიროს. გამოუსადეგარი გახდება სანაპირო ზონაში განლაგებული სოფლის მეურნეობის სავარგულები. ამდაგვარ მაგალითს კიდევ ბევრს წავაწყდებით, ვიდრე ეკოლოგიური პოლიტიკა არ მიიღებს მეცნიერულად დასაბუთებულ და კონტროლირებად ხასიათს.

საქართველოს პარლამენტმა მიიღო ქვეყნის უშიშროების კონცეფცია, მაგრამ ეკოლოგიური უსაფრთხოების პრიორიტეტებმა მასში ვერ დაიმკვიდრა სათანადო ადგილი, რაც მნიშვნელოვანწილად აუფასურებს მას. საქართველოს სოფლის მეურნეობა დაუცველია ექსტრემალური სტიქიური მოვლენებისაგან, რადგანაც დღემდე უცნობია, თუ რა ექსტრემალური კლიმატური მოვლენები შეუტევენ უახლოეს მომავალში ჩვენს დედაბუნებას. სილარიბესთან ბრძოლა ვერ მოგვიტანს რეალურ შედეგს, რადგანაც ეკონომიკის ზრდა, ეკოლოგიური პრიორიტეტების იგნორირების ფონზე, დამატებით ზეწოლას ახდენს გარემოზე და მხოლოდ ამწვევებს გარემოს დეგრადაციის პროცესებს. მდგრადი განვითარების თეზისი ნონსენსს წარმოადგენს, რადგანაც გაეროს ექსპერტთა დასკვნით, დღევანდელ პირობებში ეკონომიკის 3,2 პროცენტით ზრდა იწვევს „სითბური აირების" 2,6 პროცენტით მომატებას.

ეკოლოგიურ მონიტორინგს ნაწილობრივ აწარმოებდნენ სახელმწიფო დაწესებულებები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგროქიმიისა და ნიადაგის ნაყოფიერების, მცენარეთა დაცვისა და მელიორაციის სამსახურები და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები, მაგრამ მათ მიერ მოპოვებული ინფორმაცია არ სცდება ვიწროუწყებრივი ინტერესების საზღვრებს და არ არის გამოყენებული არც ეკოლოგიურ და არც ეკონომიკურ პოლიტიკაში.

გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ შეჯამებული და გაანალიზებული ინფორმაცია თავს უნდა იყრიდეს ეკოლოგიური უსაფრთხოების სამეცნიერო ცენტრში, რომელიც მოახდენს კლიმატური ცვლილებების მოდელირებასა და პროგნოზირებას რეგიონალურ დონეზე, რაც შექმნის ეკოლოგიური უსაფრთხოების მყარ და ქმედითუნარიან დამცავ მექანიზმს.

ალსადგენია აგროეკოლოგიის სამმართველო, რომელიც რეფორმის დროს, ამოიღეს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტრუქტურიდან. მეცნიერების მიერ შემოთავაზებული, ეკოლოგიური უსაფრთხოების პროგრამა უნდა წარმოადგენდეს ეკოლოგიური პოლიტიკის ქვაკუთხედს.

მეცნიერების მიერ დადგენილი ეკოპრიორიტეტების განმტკიცებისა და უწყებათაშორის ეკოლოგიური პოლიტიკის კოორდინაციის მიზნით მიზანშეწონილია პრეზიდენტის მრჩევლის საშტატო ერთეულის შემოღება, რაც ხელს შეუწყობდა მისი პოლიტიკის წარმატებას საპარლამენტო, საერთაშორისო, სამთავრობო და საზოგადოებრივ დონეზე. ეს უნდა იყოს გლობალური ეკოლოგიის დარგის სპეციალისტი და მისი ფუნქცია მკვეთრად განსხვავდება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დანიშნულებისგან.

ალსადგენია ან თავიდან შესაქმნელია ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხთა სამთავრობო კომისია (საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება № 1061, 2003 წლის 20 აგვისტოძ და მის შემადგენლობაში შესაყვანია პრეზიდენტის სახელმწიფო მრჩეველი ეკოლოგიის დარგში. ამავდროულად, პრეზიდენტის მრჩეველი ქვეყნის უშიშროების საბჭოს წევრიც უნდა იყოს. კომისია თავის მუშაობაში უნდა ეყრდნობოდეს ეკოლოგიური უსაფრთხოების სამეცნიერო ცენტრის რეკომენდაციებს. კომისიების შექმნის პრაქტიკა არ ამართლებს, თუ მათ შემადგენლობაში არ შედის სამუშაო ჯგუფი, რომელიც, ამ შემთხვევაში, იქნებოდა ჩანასახი მომავალი სამეცნიერო ცენტრისა. საქართველო, მისი გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობით, კლიმატური და ბუნებრივი პირობებით დედამიწის მოდელს წარმოადგენს.

გლობალური ბიოსფერული კატასტროფის რეალური საფრთხის გათვალისწინებით, მე ჩამოვაყალიბე კაცობრიობის ეკოლოგიური უსაფრთხოების კონცეფცია. მას მხარი დაუჭირეს საქართველოს ეროვნული აკადემიის მეცნიერებმა. პლანეტარული მასშტაბით ჩასატარებელია ეკოლოგიური მონიტორინგის რეფორმა, სამეცნიერო პოტენციალის მობილიზება, რათა შემუშავდეს კაცობრიობის გადარჩენის სტრატეგია. მეცნიერების მიერ შემუშავებული პროგრამის განხორციელებისთვის ეკოლოგიური და კოსმოსური საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით შესაქმნელია მსოფლიო მთავრობა.

საქართველოს ექს-პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის წიგნის „ფიქრი წარსულსა და მომავალზე", ბოლოთქმის წაკითხვისას გაოცებული დავრჩი ეკოლოგიური პრობლემატიკის პროფესიული აღქმითა და მოსალოდნელი მოვლენების პროგნოზირების საოცარი ალღოთი. ბატონი ედუარდი იმ იდეის პიონერი გახლავთ, რომ საქართველოს გადარჩენა მჭიდროდ არის დაკავშირებული გლობალური მასშტაბით ეკოლოგიური საფრთხის თავიდან აცილებასთან. გავაცანი თუ არა ბატონ ე. შევარდნაძეს კონცეფცია, მან უმალვე, მიზანშეწონილად ჩათვალა მისი განხილვა უახლოეს სამიტზე ან გაეროს გენერალური ასამბლეის უახლოეს სხდომაზე, რის შესახებაც ღია წერილით მიმართა გაეროს გენერალურ მდივანს პან გი მუნს, სახელმწიფოთა ლიდერებსა და გაეროს წევრ-ქვეყნებს, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებს, დედამიწის ყველა მცხოვრებს. აგრეთვე, საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის მიმართვა უცხოეთის ქვეყნების პარლამენტებისადმი, რეალურად შეუწყობდა ხელს ამა ქვეყნის ძლიერთა მენტალიტეტის შემობრუნებას, 21-ე საუკუნის ყველაზე საშიში პრობლემისკენ.

2007 წლის დამლევს, ინდონეზიის კუნძულ ბალიზე და 2008 წლის ივნისში იაპონიაში ჩატარებული საერთაშორისო კონფერენციების წარუმატებლობამ დაგვარწმუნა, რომ ვებრძვით არა თავად ავადმყოფობის გამომწვევ მიზეზებს, არამედ მის მხოლოდ ისეთ სიმპტომებს, როგორიც ტერორიზმი, ეკოლოგიურ ლტოლვილთა მიგრაცია, შიმშილი და დაავადებებია. გაეროს კლიმატური ცვლილებების სამთავრობათშორისო კომისიის ექსპერტთა მეოთხე მოხსენება ადასტურებს ანთროპოგენური საქმიანობის მზარდ უარყოფით გავლენას გარემოზე, მაგრამ არ იძლევა დიაგნოზის შემდეგ შესაბამის რეცეპტურას.

ჩემს მიერ შემუშავებული ეკოლოგიური უსაფრთხოების კონცეფცია, დღემდე არ არის გამოცემული უსახსრობის გამო. დღეისათვის იგი არსებობს მხოლოდ 36-გვერდიანი რეზიუმეს სახით. თუ ვინმეს გაუჩნდება სურვილი დახმარებისა, მოგვმართეთ. დარწმუნებული ვარ, რომ ეკოლოგიური უსაფრთხოების კონცეფციის გამოტანა საერთაშორისო ასპარეზზე ხელს შეუწყობს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს კაცობრიობის ტოტალური გადაშენებისაგან გადარჩენაში.

**გუგული ქებურია,**
**გლობალური ეკოლოგიის სპეციალისტი**

# ღია წერილი გაეროს გენერალურ მდივანს ბატონ პან გი მუნს, გაეროს წევრი ქვეყნების წარმომადგენლებს, საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებს, მსოფლიოს ყველა მოქალაქეს

**სამხედრო კონფლიქტები, ისეთ პატარა სახელმწიფოშიც კი, როგორიცაა საქართველო, დიდ საშიშროებას წარმოადგენენ, რადგანაც იოლად შეიძლება, დეტონატორის როლი შეასრულონ და მესამე მსოფლიო ომის აფეთქება გამოიწვიონ. კაცობრიობამ, როგორც მონოპოლურმა სახეობამ, დაკარგა თავისი თვითგადარჩენის ინსტინქტი და შეუპოვარი მტერი მოიპოვა საკუთარი თავის სახით. ჩვენ იმდენად ვართ დაკავებული ლოკალური პრობლემებით, რომ ვკარგავთ ესოდენ ძვირფას დროსა და შესაძლებლობას, ავიცილოთ თავიდან სავსებით რეალური, გლობალური საფრთხე.**

**კლიმატური ცვლილებები დღითი დღე უფრო მომაკვდინებელ ხასიათს იღებს და მსოფლიო თანამეგობრობის ალშფოთების სერიოზულ საგანს წარმოადგენს.**

**ის, რაც დღეს დიდ ვნებათაღელვას იწვევს, ალბათ არც დააინტერესებთ, ბევრი რამ ისტორიის სახელმძღვანელოს ერთ-ორ პწკარში ჩაეტევა, ზოგჯერ სულაც მშრალ სტატისტიკურ ინფორმაციად იქცევა. გლობალური დათბობით გამოწვეული კატასტროფების პიროვნული ტრაგედიები მაშინ არავის შესძრავს, მაგრამ თუ ასე გაგრძელდა და კაცობრიობამ კარდინალური ზომები არ მიიღო, შეიძლება იმ ხუთი პწკარის წამკითხველიც აღარ დარჩეს.**

**დღევანდელ მსოფლიოს, სამწუხაროდ, ამ შექმნილი მდგომარეობის ტრაგიზმი სრულიად გააზრებული არა აქვს და რეალურ გლობალურ საფრთხეზე არაადეკვატურად რეაგირებს. ის ბრმა სიჯიუტით და უფრო დიდი ინტენსივობით აგრძელებს იმ საქმიანობას, რაც გლობალური დათბობის ეფექტს უფრო და უფრო დამანგრეველსა და შეუქცევადს გახდის.**

**ჩვენი ცივილიზაციის არსებობას ემუქრება კიდევ ერთი საფრთხე: — უმართავ დემოგრაფიულ პროცესებს შეუძლია „შიგნიდან" ააფეთქოს ჩვენი საზოგადოება.**

**რასებისა და ცივილიზაციების შეტაკებებში, „სარეცელზე მოპოვებული გამარჯვებანი თუ დამარცხებანი" ფაქტობრივად, კაცობრიობის მომავალს განსაზღვრავენ.**

**იმიგრანტთა და მათ შთამომავალთა შეჯახება ადგილობრივი მოსახლეობის კულტურასთან არის ერთ-ერთი მიზეზი ცივილიზაციათა უკვე მიმდინარე ომისა, რომელიც თანდათანობით, კიდევ უფრო გამძაფრდება. გლობალიზაციის ერთ-ერთი უარყოფითი გამოვლენა ისიც გახლავთ, რომ იმისდა მიხედვით, თუ როგორ მოერგება ესა თუ ის ქვეყანა მის ფინანსურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ ინტერესებს, ამ ინტერესებს შეუძლია ნებისმიერი მოთამაშის პოზიციების შესუსტება ან გაძლიერება. გლობალიზაციის კანონების თანახმად, განვითარებული ქვეყნები ეკონომიკურ სფეროში ხშირად უპირისპირდებიან ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს.**

**ადამიანთა შორის ომსა და ადამიანის ბუნებასთან ბრძოლაში გამარჯვებული არ იქნება. დადგა დრო, როდესაც სხვადასხვა ცივილიზაციის, კონფესიისა და კულტურის წარმომადგენლები უნდა დასხდნენ მრგვალი მაგიდის გარშემო და მიაგნონ იმ ერთადერთ გზას, რომელიც გადაარჩენს კაცობრიობას.**

იხ. 6 გვ.

SIC!

# ღია წერილი გაეროს გენერალურ მდივანს ბატონ პან გი მუნს, გაეროს წევრი ქვეყნების წარმომადგენლებს, საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებს, მსოფლიოს ყველა მოქალაქეს

(მეხუთე გვერდიდან)

საჭიროა საზოგადოების ახალი პარადიგმა, მეცნიერულ საფუძვლებზე შემუშავებული, ქმედებათა ახალი პროგრამა. ჩვენ ყველა პირობა უნდა შევუქმნათ მეცნიერებს, რომ მათ გადარჩენის სტრატეგიის დაგეგმვა მოასწრონ.

ჯერ კიდევ 1987 წლის სექტემბერში, გაეროს გენერალური ასამბლეის 42-ე სესიაზე ვამბობდი, რომ „კაცობრიობის ეკოლოგიური უშიშროება ისევე გადაუდებელია, რამდენადაც რეალურია მის წინაშე მდგომი ეკოლოგიური კატასტროფის საფრთხე... დღეს ჩვენ დავრწმუნდით იმაში, რომ გარემოს დაცვა აუცილებლად უნდა წარმოებდეს პლანეტური მასშტაბით“.

მიუხედავად იმისა, რომ ყოველწლიურად გარემოს დაცვაზე უზარმაზარი თანხები იხარჯება, იმართება უმაღლესი დონის კონფერენციები და ა.შ., ჩვენ დღემდე არ შეგვიძლია გარემოს დეგრადაციის პროცესების შეჩერება.

სწორედ ამიტომ, გაეროს გარემოს დაცვის პროგრამის აღმასრულებელმა დირექტორმა ახიმ შტაინერმა, კუნძულ ხოკაიდოზე დიდი რვიანის სამიტის შედეგებთან დაკავშირებით ჟურნალისტების წინაშე განაცხადა: „ჩვენ ვერ ვამჩნევთ ვერავითარ პროგრესს ბალის კონფერენციაზე კლიმატური ცვლილებების სამთავრობათაშორისო ექსპერტთა ჯგუფის მოხსენების გამოქვეყნების შემდეგ. არადა, ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ, დროის დაკარგვის უფლება აღარ გვაქვს. ვფიქრობ, „დიდი რვიანის“ ლიდერებს გაეპარათ შესაძლებლობა, აეტეხათ განგაში, რომელიც დააჩქარებდა ამ საკითხებზე საერთაშორისო მოლაპარაკებების პროცესს.“

ახიმ შტაინერმა ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ საერთაშორისო თანამეგობრობას სულ რაღაც 500 დღე დარჩენია კოპენჰაგენში შეხვედრამდე, სადაც უნდა მიიღონ გლობალური შეთანხმება კლიმატთან დაკავშირებით (რადიო გაეროს ახალი ამბები, 09/07/2008წ.

გიორგი ქებურიას მიერ შემოთავაზებული, ეკოლოგიური უსაფრთხოების კონცეფცია ეფუძნება მრავალი მეცნიერის, ექსპერტისა და პოლიტიკური მოღვაწის მოსაზრებას, მოგვიწოდებს რეფორმების განხორციელებისკენ როგორც ეკოლოგიურ სფეროში, ასევე მსოფლიოს საზოგადოებრიობის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ძნელია არ დაეთანხმო კონცეფციის თეზისებს, სადაც ნათქვამია: „ჩვენ ვკარგავთ ძვირფას დროს იმაზე კამათში, თუ რა არის გლობალური დათბობის მიზეზი: ანთროპოგენური მოღვაწეობა თუ კლიმატურ ცვლილებათა ციკლურობა. პრაქტიკულად, ეს ორივე მიზეზი ერთმანეთს დროში დაემთხვა, ხოლო სინერგეტიკული ეფექტი ამძაფრებს ბიოსფეროში წონასწორობის დაკარგვას“. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ანთროპოგენური ფაქტორი არ ასრულებს განმსაზღვრელ როლს, და საქმე გვაქვს ძირითადად, ბუნებრივი პროცესების ციკლურობასთან, თვით ფაქტი და ტენდენცია სასიცოცხლოდ ვარგისი ტერიტორიების შემცირებისა მოსახლეობის რაოდენობის გამუდმებული ზრდის ფონზე (მიუხედავად ევროპაში ამ ტენდენციის შენელებისაც), მალე შეუძლებელს გახდის პლანეტაზე ცხოვრებას. ინტერნეტმა პლანეტა ერთ საერთო სახლად აქცია და შეუძლებელია, ყველა ოთახში იყოლიო დაცვა. დედამიწას მხოლოდ ერთი არმია ეყოფა, ოღონდ აგრესიის ჩამქრობი და არა მთესველი. გამოთავისუფლებული ძალები და თანხები კი დაიხარჯებოდა კოსმოსური, ბიოსფერული, სასურსათო და სამედიცინო პრობლემების დასაძლევად. მიამიტობაა იმის დაჯერება, რომ პრობლემებს მხოლოდ ტექნოლოგიური ნოვაციებისა და ნანოტექნოლოგიების ხარჯზე გადავჭრით.



ფაქტია, რომ ეკოლოგიური მონიტორინგი კლიმატური ცვლილებების მოდელირებისათვის საკმარისად სრულყოფილ ინფორმაციას არ იძლევა. მაშ, მოდით, გავატაროთ რეფორმა და გაეროს გარემოს დაცვის პროგრამა შევცვალოთ გარემოს დაცვის სააგენტოდ. მივცეთ მას სრული უფლებამოსილება სხვადასხვა ქვეყანაში ანალოგიური სტრუქტურის კოორდინირებისა. რეფორმის პირველ ეტაპზე ის შეიძლება გახდეს სამთავრობათაშორისო სტრუქტურის წინასახე.

საჭიროა კლიმატური ცვლილებების რეალურად დასაბუთებული პროგნოზები და ბუნებრივი რესურსების გამოყენების უფრო ეფექტური პრინციპები. მიეცით მეცნიერებს შესაძლებლობა გაერთიანდნენ პლანეტის გონის ცენტრად, დაეხმარეთ სამეცნიერო პოტენციალის მობილიზაციას 200-ივე, პირობითად მიღებული მსოფლიოს ეკოლოგიური რეგიონისათვის კონკრეტული პროგრამის შესადგენად. თუ ჩვენ შევქმენით ევროპარლამენტი, რატომ უნდა შევჩერდეთ შუა გზაზე?

მსოფლიო მთავრობის იდეა არ ახალია, ძველია, მაგრამ რადგანაც კაცობრიობა უფსკრულის პირას დგას, კრეატიული იდეების რეალიზაციისთვის საჭიროა შესაბამისი აღმასრულებელი სტრუქტურა. შევქმნათ ისეთი მთავრობა, რომელიც გადაჭრის ყველაზე ძლიერი სახელმწიფოსთვისაც კი დაუძლეველ პრობლემებს.

კოპენჰაგენში საერთაშორისო კონფერენციის მოწვევამდე გ. ქებურიას კონცეფცია უნდა განიხილოს გაეროს საგანგებო სესიამ, რადგან თავად გაერო უნდა გახდეს თავისივე რეორგანიზაციის ინიციატორი.

დაბეჯითებით გთხოვთ, ჩემი მიმართვისა და კონცეფციის რეზიუმეს ტექსტები დაუგზავნოთ გაეროს ყველა წევრ ქვეყანას, რათა დროთა განმავლობაში შესაძლებელი გახდეს მისი მონაწილეობით მუშა ჯგუფის შექმნა რეფორმების პროექტის მოსამზადებლად.

წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთი წლის შემდეგ ჩვენ იძულებულნი გავხდებით ვაღიაროთ მორიგი კონფერენციის უშედეგობა. პრობლემა კი, იმ დროისთვის უკვე შეუქცევად ხასიათს მიიღებს, ხოლო კლიმატური ცვლილებები და პოლიტიკური კონფლიქტები იმდენად მასშტაბური გახდება, რომ არათუ ჩვენი ცივილიზაცია, საერთოდ სახეობა „Homo Sapiens“ ერთხელ და სამუდამოდ გაქრება. ისევე, როგორც ეს მრავალი სახეობის მცენარესა და ცხოველს მოსვლია.

საქართველოს ექს-პრეზიდენტი
**ედუარდ შევარდნაძე.**

გლობუსი

# მსოფლიოს მოსალოდნელი

**4 ნოემბრამდე თითზე ჩამოსათვლელი დღეები რჩება. 4 ნოემბერს აშშ-ს ახალი პრეზიდენტი ეყოლება, რომელიც თავის მოღვაწეობას მომავალი წლის იანვრის ბოლოდან შეუდგება.** მანამდე ქვეყნის სადავეები ისევ ძველი პრეზიდენტისა და მისი ადმინისტრაციის ხელში იქნება. ტრადიციიდან გამომდინარე არჩეული პრეზიდენტის პირობებში ადგილი არ ექნება ძველი ადმინისტრაციის მხრიდან ახალ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს. უნდა ვიმედოვნოთ, რომ არც ირანის მიმართ განხორციელდება წერტილოვანი საჰაერო თავდასხმა, რის შესახებაც, სანდო წყაროზე დაყრდნობით, არაერთხელ იუწყებოდა ამერიკულ-ებრაული პრესა.

**მომავალი წლის იანვარში ისტორიას ჩაბარდება უმცროსი ბუშის 8-წლიანი მმართველობის ერა. თუ თვალს გადავავლებთ განვლილ პერიოდს, რესპუბლიკურმა ადმინისტრაციამ ბევრი ილონა ზეცაში მფრინავი ამერიკის იმიჯის მიწაზე ჩამოსაყვანად. ნათქვამია — „წინა კაცი უკანის ხიდიაო“. ამ შემთხვევაში ბუში ცუდი ხიდი გამოდგა თანაპარტიელი მაკკეინისათვის. ძლევამოსილი ამერიკა, რომელსაც მოჭარბებულად ჰქონდა განვითარებული ამბიციური გრძნობები და მისწრაფებები, ისეთი აღარ არის, რაც 8 წლის წინათ, თუმცა ამბიციების მიხედვით მას ყველაფერი რიგზე ექნება, ახალი მიზნებით და მისწრაფებებით.**

არცთუ მდიდარი ისტორიიდან გამომდინარე, ამერიკის ყველა ადმინისტრაცია დაბეჯითებით ილვწოდა საკუთარი ქვეყნისათვის უკეთესი პირობების შესაქმნელად, მსოფლიოში მისი როლის ასამაღლებლად. ზოგი წარმატებით ართმევდა თავს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, ზოგიც — ვერა. **არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ბუშის ადმინისტრაციის საქმიანობას მომავალი თაობები ნეგატიურად შეაფასებენ. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები ამაზე მეტყველებს. ბუშის პოპულარობის რეიტინგი 28 პროცენტს ძლივს აღწევს. ბუშის ადმინისტრაციის საქმიანობა, როგორც საშინაო ისე საგარეო საკითხებში, არა მარტო ამერიკელების, არამედ ევროპელებისთვისაც ნაკლებად მისაღებია.**



8 წლის განმავლობაში ევროპას ათასობით კილომეტრით დაშორებული აშშ საკუთარი პოლიტიკური კურსის წყალობით, სერიოზულად დაშორდა. იდეოლოგიური დაშორების მანძილი კილომეტრებით არ იზომება. აქ ის საზომი გამოიყენება, რომელიც ერთის შეხედვით უხილავია, მაგრამ შთამბეჭდავი 2008 წელს. ის, რაც კარგად ჩანს, არის წაგებისპირას მისული ომები ავღანეთსა და ერაყში, ნაქები ამერიკული საფინანსო სისტემის კოლაფსი, მილიონამდე უმუშევარი, დაძაბული ურთიერთობა ზოგიერთ ქვეყანასთან, მათ შორის რუსეთთან, პალესტინელთათვის დაპირებული სახელმწიფოს შექმნის შეუსრულებლობა, ირანის ბირთვული პროგრამის საწინააღმდეგო მოქმედების ჩაფლავება, პოსტსაბჭოთა სივრცეში ფერად-ყვავილოვანი რევოლუციების შედეგად ხელისუფლების სათავეში მოსულთა სუსტი და უპასუხისმგებლო მოქმედება და სხვა.

არც ენერგეტიკულ საკითხებშია საქმე კარგად. ბუშის მოღვაწეობის დასაწყისში ნავთობზე არსებულმა ფასებმა — 28 დოლარი ერთ ბარელზე — სარეკორდო, მანამდე არნახულ და არგაგონილ ზღვარს — 148 დოლარს მიაღწია. **ულიმღამო 8-წლიანი მმართველობის ლოგიკური დასასრული-სერიოზული კონფრონტაცია, განგების წყალობით არ შედგა. მხოლოდ მას უნდა უმადლოდეს კაცობრიობა ამ საფრთხის თავიდან აცილებას. ბუშის ადმინისტრაციის სტრატეგიული პარტნიორის, საქართველოს ხელისუფლების წყალობით, პატარა შავ ზღვაში, საქართველოს ნაპირებთან, ერთმანეთის პირისპირ, ამერიკა-რუსეთის სამხედრო გემების ყოფნა, ურთულეს განსაცდელში ჩააგდებდა მსოფლიოს. ორივე მხარის მეზღვაურთა რკინისებური მოთმინების წყალობით გადაურჩა მსოფლიო სამხედრო დაპირისპირებას. ზოგს დღესაც ვერ გაუაზრებია ამ ფაქტის, რბილად რომ ვთქვათ, არასახარბიელო შედეგები. ის, ვინც კარგად არის ჩახედული მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის ისტორიაში და ახსოვს კუბის კრიზისი, შავ ზღვაში ორი სამხედრო ფლოტის ერთმანეთის საწინააღმდეგო შემართებას, კუბის კრიზისს ადარებს. ცეცხლის გახსნისათვის, გაუთვალისწინებელი, უმნიშვნელო დეტალიც საკმარისია, ისეთი, როგორიც იყო გაყოფილი ბერლინის კრიზისის დროს.**

ბუშის ადმინისტრაციის „დამსახურებად“ უნდა მივიჩნიოთ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მივიწყებული ტერმინის „ცივი ომის“ რეანიმაციაც, თუმცა, როგორც ამერიკელი, ისე რუსი ექსპერტები ამერიკა-რუსეთის ბოლოდროინდელ ურთიერთობაში „ცივი ომის“ კვალს ვერ ხედავენ. შესაძლოა, ეს ასეც იყოს, მაგრამ ერთის შეხედვით. საბჭოთა კავშირის არსებობის დროს, მსოფლიო პირველობისათვის ბრძოლაში, დიდი დოზით იდეოლოგიაც იყო ჩართული, დღეს კომუნისტური იდეოლოგია ისტორიას ჩაბარდა, მაგრამ არავის დავიწყნია პირველობისათვის ბრძოლა. ის, ისეთივე აქტუალურია, როგორც უწინ. საერთაშორისო ურთიერთობათა მკვლევარები მიიჩნევენ, რომ იმ პერიოდის „ცივი ომი“ დადებითი თვისებების მატარებელიც იყო. და ეს დადებითი კომპონენტი შეიცავდა რეალობას, ანუ გარანტირებულ სამხედრო განადგურებას და აქედან გამომდინარე მაქსიმალური სტაბილურობის გარანტიას.

კლასიკური „ცივი ომის“ პერიოდი მაშინ დასრულდა, როდესაც სოციალისტურმა ბანაკმა ნებაყოფლობით შეწყვიტა არსებობა. დასავლეთში ეს პროცესი კაპიტალიზმის სოციალიზმზე გამარჯვებით შეფასდა. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ არავითარი გამარჯვება არ იქნებოდა, გორბაჩოვს და მის წრეს ციხე შიგნიდან რომ არ გაეტეხათ. **დასავლეთმა, კერძოდ აშშ-მა ჩათვალა, რომ გაიმარჯვა და რახან გაიმარჯვა, ისიც მიზანშეწონილად მიიჩნია, საკუთარი პოლიტიკური სისტემა თავს მოეხვია, როგორც დამარცხებულისთვის, ისე ორთაბრძოლის პერიოდში „უყურადღებოდ“ მიტოვებული ქვეყნებისთვისაც.**

საბჭოეთის ნებაყოფლობითმა დაშლამ ჭარბი ეიფორია და ყოვლისშემძლეობის განცდა გააჩინა ამერიკაში. ნაცვლად იმისა, რომ მას მსოფლიო მოწყობის ახალი სისტემის შექმნაზე ეფიქრა, საკუთარი პოლიტიკური სისტემა ჩათვალა სრულყოფილად, სხვათა მიერ უყოყმანოდ მისაღებად. **პრაგმატული ანალიზის შემთხვევაში უმჯობესი იქნებოდა ნატოს სამხედრო ბლოკის ან გაუქმება ან ძირფესვიანად გადაკეთება. მითუმეტეს, როდესაც მისმა მოწინააღმდეგემ, ვარშავის ხელშეკრულებამ, არსებობა შეწყვიტა.** არავითარ აუცილებლობას აღარ წარმოადგენდა სოციალისტური სისტემის შეიარაღების შემაკავებელი ნატოს სამხედრო ბლოკის შენარჩუნება. **დაშლილი საბჭოთა კავშირის მემკვიდრე რუსეთი, ყელამდე იყო ჩაფლული საშინაო პრობლემებში. მას მსოფლიო პოლიტიკაში ხელის ფათურის, არც პრეტენზია და არც თავი არ ჰქონდა. საბოლოო ჯამში ნატო ვერ გარდაიქმნა იმ უნიკალურ ორგანიზაციად რომელმაც**

გზის დალოცვა

# მივესალმებით ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დაარსებას

საქართველოს მკვიდრი ისტორიის ოცი საუკუნე დოკუმენტური მოწმეა იმისა, რომ ჩვენი ეროვნული განათლება მთლიანად, სისხლხორცეულად დაუკავშირდა ქრისტიანობის მადლსა და ნათელს. სწორედ ანდრია პირველწოდებულისა და შემდეგ ნინო განმანათლებლის ღვთივკურთხეულ კვალს მოჰყვა ჩვენს ქვეყანაში ჭეშმარიტი განათლების განვითარება და აყვავება. ყველა საგანმანათლებლო კერა, რომელიც კი საქართველოს ისტორიაში არის ცნობილი, სწორედ ქრისტიანობის, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მადლიან წიაღში არის აღმოცენებული და რაც მთავარია, ეროვნული სულიერების აღმავლობის პერიოდებს უკავშირდება.

მიგვაჩნია, რომ ასეთი დიდი ისტორიული მოვლენის მოწმენი ვართ ჩვენ დღესაც.

როდესაც საქართველოს სამოციქულო ეკლესიის საჭეთმპყრობელი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II ეროვნული ეკლესიის აღორძინებას იწყებდა, ცოტა ვინმეს თუ წარმოედგინა, რა მასშტაბებს მიაღწევდა ეს ღვაწლი სამი ათეული წლის შემდეგ, როდესაც ყოველთა ქართველთა სულიერი წინამძღოლი ჩვენი დღევანდელი სიამაყის – სამების კათოლიკე ტაძრის – მშენებლობას იწყებდა, ცოტა ვინმეს თუ სჯეროდა ახლო მომავალში მისი დიადი დასრულების...

რამდენი რამე იქცა კიდევ რეალობად ჩვენი დედაეკლესიის საჭეთმპყრობელის მადლიანი ხელდასხმით.

ამიტომაც უნდა გვწამდეს ჩვენ – მთელს ერს – ახლად დაარსებული ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტის მომავლის.

რაც მთავარია, უნდა გვწამდეს, რომ თანამედროვე მსოფლიოში სულიერების გლობალური კრიზისის პირობებში, ქართული სახელმწიფოებრიობის წინაშე მდგარი არაერთი უმძიმესი განსაცდელისა და ქართული მეცნიერებისა და საუნივერსიტეტო განათლების შემაშფოთებელი კრიზისის ფონზე, ეს უნივერსიტეტი – საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ფრთებქვეშ დაბადებული და მისი უწმინდესობის ხელით გზადალოცვილი უნივერსიტეტი ისევ დაუდებს სათავეს ჩვენი სულიერი კულტურის, ჩვენი მეცნიერებისა და განათლების ახალ აღმავლობას, ისეთსავე სასწაულებს მოახდენს ჩვენს უახლოეს მომავალში, როგორც ეს გასული საუკუნის დასაწყისში დაფუძნებულმა დედაუნივერსიტეტმა გააკეთა.

„ქართული აკადემია“

სახალხო დამცველი

# პატიმრებს არ ასეირნებენო...

**სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს ბაჩო ახალაიას და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმართა ყოველდღიური გასეირნების უფლების დაცვა მოითხოვა.**

2008 წლის 25 სექტემბერს სახალხო დამცველის რწმუნებულები სასჯელაღსრულების დეპარტამენტის № 6 დაწესებულებაში მონიტორინგისას გაირკვა, რომ დაწესებულებაში ყოველდღიური გასეირნების უფლებით მხოლოდ უვადო თავისუფლებააღკვეთილი და ტუბერკულოზით დაავადებული მსჯავრდადებულები სარგებლობენ, ხოლო სხვა პატიმრებს მხოლოდ საყ დღეში ერთხელ ეძლევათ სუფთა ჰაერზე ყოფნის საშუალება. დაწესებულების დირექტორის დავით მარგებაძის განმარტებით, მსჯავრდდებულებს ყოველდღიურად ვერ ასეირნებენ, რადგან არ არის თანამშრომლების საკმარისი რაოდენობა და ამ პრობლემას კადრების შევსება თუ გადაჭრის.



„პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 79-ე მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, მსჯავრდებულს უფლება აქვს, ისარგებლოს ყოველდღიური ორსაათიანი გასეირნებით. ამავე კანონის მე-80 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, მკაცრ რეჟიმში მყოფ მსჯავრდებულებს უფლება აქვთ, ყოველდღიურად ერთსაათიანი გასეირნებით ისარგებლონ.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ ციხის ევროპული წესების შესახებ მიღებული რეკომენდაციით 86-ე პრინციპის მიხედვით, „ყველა პატიმარს, რომელიც არ არის დასაქმებული გარე სამუშაოებზე, ან განთავსებული ღია დაწესებულებაში, ნება უნდა დაერთოს ყოველდღიურად მინიმუმ ერთსაათიანი გასეირნების ან სათანადო ვარჯიშისა ღია ცის ქვეშ, თუ ამის შესაძლებლობას იძლევა ამინდი, თუ კი არა, ეს, შეძლებისდაგვარად, უნდა განხორციელდეს გადახურულ ტერიტორიაზე“.

ამდენად, პატიმრის გასეირნების უფლება აღიარებულია, როგორც ეროვნული კანონმდებლობით, ისე საერთაშორისო დოკუმენტებით, შესაბამისად, იგი დაცული უნდა იყოს სასჯელაღსრულების სისტემის ყველა დაწესებულებაში.

**ნატა ნიბლაძე**

გლობუსი

# ახალი სისტემა



**ხელი უნდა შეუწყოს მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებას. ის ისეთ ბლოკად იქცა, რომლის ფუნქცია გაურკვეველია. გაურკვევლობა სათავეს ვაშინგტონში იღებეს. სწორედ მან უკუაგდო ნატოს წინადადება მხარში ამოდგომოდა ამერიკას 2001 წლის ტერორისტული თავდასხმის შემდეგ.**

ბუშის ადმინისტრაციის პასუხი მარტივი იყო – ჩვენ თვითონ მოვუვლით ჩვენს პრობლემებსო. პასუხში ჩანდა, თუ რაოდენ მაღლა აყენებდა ამერიკა საკუთარ თავს. ვაშინგტონის ქედმაღლობა ერაყის ომშიც გამოჩნდა. მან იქაც უარი თქვა ნატოს დახმარებაზე. ვაშინგტონმა მხოლოდ მაშინ მიმართა ნატოს, როდესაც ავღანეთში გაუჭირდა. გაცილებით დაბალი ხარისხი აქვს ვაშინგტონის ურთიერთობას გაეროს და მის უშიშროების საბჭოსთან, რაც ზესახელმწიფოობის მოჭარბებული დაავადებით არის გამოწვეული. **ვაშინგტონის მკაცრი დამრიგებლური ტონი სისტემატურად შეინიშნება. ამ შემთხვევაში საქართველოს მაგალითიც გამოდგება. აშშ-ს ადმინისტრაცია ნატოს მოუწოდებს საქართველოს მიანიჭოს მაპი. მას არ აინტერესებს შეასრულა თუ არა საქართველომ ნატოს მიერ დადგენილი პროგრამა. სუბიექტური მოსაზრებით ბუშის ადმინისტრაციას სურს საქართველოს ნატოში გაწევრიანება და როდესაც ნატოს წევრი ქვეყნების მხრიდან წინააღმდეგობას აწყდება, ის იბუტება. გავიხსენოთ ბუქარესტის სამიტი, რომელმაც უარი უთხრა უკრაინასა და საქართველოს მაპის მინიჭებაზე. მიუხედავად ამისა, ბუშმა ყველაფერი იღონა, რათა მიღებულ დოკუმენტში შეეტანათ წინადადება, რომ ამ საკითხს ნატოს მინისტერიალი დეკემბერში დაუბრუნდებოდა.**

საბჭოეთის დაშლის შემდეგ ერთპოლუსიანი მსოფლიოს ლიდერი ამერიკა, თავს უფლებას აძლევს ორ ომში ჩაერთოს, გარდა ამისა ხელი შეუწყოს უსისხლო რევოლუციების განხორციელებას პოსტსაბჭოთა სივრცეში. რევოლუციათა მიზანი მარტივია – საკუთარ სამფლობელოში რუსეთის დასუსტება. ამერიკა ზედიზედ აცხადებს დსთ-ში მყოფი სახელმწიფოების ტერიტორიების (თავისთავისძ სასიცოცხლო ინტერესების ზონად. სასიცოცხლო ინტერესების ზონებისათვის გამოდევნებამ, რომელსაც ხშირ შემთხვევაში საფუძვლად ედო ტერორიზმთან და ადამიანის უფლებების დაცვასთან ბრძოლა, საბოლოო ჯამში დაასუსტა არა მარტო ამერიკა, არამედ გაერო, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები.

ერაყისა და ავღანეთის ომს ბოლო არ უჩანს, მაგრამ ბოლო უჩანს ამერიკის ძლიერების დასასრულის დასაწყისს, თუმცა ჯერჯერობით, სხვებთან შედარებით ის მაინც ძლიერია. ის, რომ ამერიკა სუსტდება, ყველა ხედავს, ისე, როგორც მგლები, მეთაური მგლის დაძაბუნებას. ახალგაზრდა მგლები თავიანთ დროს ელიან, რათა ოთხში ამოიღონ ბებერი ბელადი. ამერიკაც გრძნობს სისუსტეს, რაც წინასაარჩევნო კამპანიის დროსაც გამოჩნდა დემოკრატთა რჩეულის ობამას განცხადებაში. ის მოწინააღმდეგე რუსეთთან, ირანთან, ჩრდილო კორეასთან, სხვასთან დაპირისპირებას, მოლაპარაკებას ამჯობინებს. მაგრამ ობამა ჯერ არ არის პრეზიდენტი. ზუსტად ვერავინ იტყვის იქნება თუ არა, მაგრამ გამარჯვების შემთხვევაში ძნელი წარმოსადგენია, რომ ამერიკამ ბრძოლა შეწყვიტოს ჰეგემონიზმისათვის.

რუსეთსაც აქვს საკუთარი ინტერესები. ისინი გაცილებით თავშეკავებულია საკუთარი პოტენციალიდან გამომდინარე. მას არ სურს საკუთარ საზღვრებთან ნატოს ბლოკის ხილვა, რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განთავსება, ენერგეტიკულ საკითხებში ამერიკის მხრიდან ბარიერების შექმნა. იმისათვის, რომ ვაშინგტონმა ეკონომიკურად დაასუსტოს რუსეთი, საჭიროა ევროპაზე ზეგავლენა. ევროპას არ უნდა ჰქონდეს რუსეთთან საერთო ენერგეტიკული პროექტები. ევროკავშირი კი ნაყოფიერად თანამშრომლობს რუსეთთან ამ დარგში. ევროკავშირს ჰაერივით სჭირდება რუსული გაზი. ვაშინგტონისათვის ეს მიუღებელია. ის მკაცრად უკარნახებს ევროპას, რომ რუსული გაზი, რუსეთზე დამორჩილებას ნიშნავს და იმისათვის, რომ ეს არ მოხდეს, ევროპამ ალტერნატიული გზა უნდა მოძებნოს, მაგალითად „ნაბუკო“ – რუსეთის გვერდის ავლით, საქართველო – უკრაინაზე გატარებული აზერბაიჯანული და შუა აზიური გაზი. ის, რომ პროექტი მეტად ძვირია და მასში მონაწილე ქვეყნების გაზის მარაგი არასაკმარისი, ვაშინგტონს არ აღელვებს, მთავარია არ იყოს რუსეთი.

**ენერგომატარებლებისათვის საქართველოს სატრანზიტო გზის არჩევა გასული საუკუნის 90-იან წლებში, შევარდნაძის მმართველობის დროს მოხდა. სატრანზიტო ქვეყნის სტატუსის მოპოვება მნიშვნელოვანი რამ არის, მაგრამ საქართველოს პირობებში მას უფრო პოლიტიკური დატვირთვა აქვს, ვიდრე ეკონომიკური. თუ რა მოუტანა საქართველოს რუსეთის ალტერნატიულობამ, ცნობილი გახდა დღეს. პროექტიდან რუსეთის გამოთიშვამ მძიმედ იმოქმედა საქართველოზე. დასავლეთთან მოლაპარაკების დროს უმჯობესი იყო რუსეთის ფაქტორის გათვალისწინებაც, რაც თავიდან აგვაშორებდა დავიდარაბას. დასავლეთით ზურგგამაგრებულმა საქართველომ ვერ მოზომა საკუთარი და მეგობარი დასავლეთის შესაძლებლობები და თავი სამარადისო გამარჯვებულად ჩათვალა. შედეგმაც არ დააყოვნა.**

7 აგვისტომ მსოფლიოს დაანახა, რომ რუსეთთან კონდოლიზა რაისის ტერმინოლოგიით ლაპარაკი მიუღებელია. მოსკოვის ლოგიკა ვაშინგტონისათვის გასაგები უნდა იყოს. თუ ამერიკას შეუძლია რუსეთის საზღვრებთან არსებული ტერიტორიების საკუთარი სასიცოცხლო ინტერესების ზონად გამოცხადება, რატომ არ უნდა შეეძლოს რუსეთს იმავე ზონაში ან თუნდაც კარიბის ზღვაში საკუთარი გავლენის ქონა?! გავიხსენოთ ვენესუელის პრეზიდენტის ჩავესის განცხადება რუსული „ტუ-160“ ბომბდამშენების ვენესუელაში ვიზიტთან დაკავშირებით. „ბომბდამშენები იმიტომ ჩამოფრინდნენ ვენესუელაში, რათა განამტკიცონ ჩვენთან სამხედრო თანამშრომლობა აშშ-ს რეგიონული გავლენის საწინააღმდეგოდ“.

საკუთარი გავლენის გაძლიერება შეიარაღების დაფინანსების გაზრდასაც საჭიროებს, მაგრამ შეძლებს აშშ-ის ახალი ადმინისტრაცია ამას, ფინანსური კრიზისიდან გამომდინარე? ამერიკას, რომ მეტი სამხედრო ხარჯები ექნება, ვიდრე რუსეთს, ამაში გასაკვირი არაფერია. ორ ომს და მთელს მსოფლიოში მოდებულ 40-ზე მეტ სამხედრო ბაზას თანხები ესაჭიროება. როგორც ჩანს, არც რუსეთი იხევს უკან. 2009 წლის ეროვნულ ბიუჯეტში თავდაცვისათვის განსაზღვრული ტრილიონ 266.8 მილიარდი რუბლი, ეროვნული პროდუქტის 2.6 პროცენტი, სამ პროცენტამდე, ანუ ტრილიონ 500 მილიარდამდე გაიზრდება.

მოსკოვის მიზანია ვაშინგტონის დარწმუნება, რომ მას არა მარტო სამხედრო ხარჯების გაზრდა შეუძლია, არამედ საკუთარი სტრატეგიული მიზნების განხორციელებაც, მიუხედავად რაისის განცხადებისა: „ამერიკა საშუალებას არ მისცემს რუსეთს, განახორციელოს საკუთარი სტრატეგიული მიზნები“.

**ერაყის, ავღანეთის, ცხინვალის და უოლ-სტრიტის საფინანსო კრიზისის შემდეგ, მსოფლიო სისტემა მნიშვნელოვნად შეიცვლება. წინა პლანზე წამოიწევს საკუთარ ძალებზე დაყრდნობის კონცეფცია. ერთი ქვეყნის, თუნდაც დანარჩენებთან შედარებით ძლიერის, ერთმმართველობა ისტორიას ჩაბარდება. ამ გადაჯგუფებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის უმცროსი ბუშის რვაწლიან მმართველობას, სწორედ მას უნდა უმადლოდეს რუსეთი ერთპოლუსიანობის დასრულებას.**

მრავალი წელი დასჭირდება ახალი ერთპიროვნული ლიდერის ჩამოყალიბებას, კონკურენტები სახეზეა. ვინ გაიმარჯვებს, მომავალი გვიჩვენებს.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ქართული დაბრკოლება

**დღევანდელი მოლაპარაკება ჟენევაში შეფერხდება, თუ დასავლეთი ვერ გამოძებნის საშუალებას თავიდან ჩამოიშოროს ძველი პრინციპი „გააერთიანე და იბატონე“.**

დღეს ჟენევაში იწყება ევროკავშირის, გაეროსა და ეუთოს წარმომადგენელთა შეხვედრა რუსეთისა და საქართველოს მხარეების დელეგაციებთან. ამოცანა ასეთია — გამოიძებნოს პროგრესის გზები. საქართველოს მოლაპარაკებაზე მხარს უჭერს ამერიკის შეერთებული შტატები მაშინ, როდესაც მოსკოვი ჟენევაში ჩამოიყვანს ულიარებელი რესპუბლიკების ლიდერებს, რომლებიც აქ იქნებიან არაოფიციალური ვიზიტით. გარღვევის პერსპექტივები მინიმალურია, ვინაიდან დასავლეთის ლიდერები კვლავინდებურად თავს არიდებენ „უხერხული“ საკითხების განხილვას. ალბათ დასავლელი მოსაუბრეები უარყოფენ რუსეთის წინადადებას, აიძულოს საქართველო დადოს იურიდიულ-სავალდებულო შეთანხმება ძალის გამოუყენებლობის შესახებ, რუსეთი კი უარს იტყვის ჯარების გამოყვანაზე მათი 7 აგვისტომდე დისლოკაციის ადგილებში. სავარაუდო შედეგები მოლაპარაკებისა — ეს არის ევროკავშირის მისიის მანდატის გაგრძელება, ჰუმანიტარული დახმარების გაწევის ერთობლივი ძალისხმევის გეგმები და ვალდებულება — აწარმოოს პოლიტიკური დიალოგი.



გაეროსა და ეუთოს მონაწილეობა, ისევე როგორც ევროკავშირის აქტიური როლი — გარკვეული პოზიტიური მოვლენაა. მაგრამ მონაწილეობა ეს ჯერ კიდევ პოლიტიკა როდია. პოლიტიკა კი უნდა იყოს აგებული არა ვარაუდებზე, არამედ საღ გაგებაზე უსიამოვნო რეალობის გამოყენებით. ევროპაში გაჩნდა ფაქტობრივად დამოუკიდებელი სახელმწიფო წარმონაქმნები, რომლებიც ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ რუკაზე არ იყვნენ. ზოგიერთ უმცირესობას შეუძლებლად მიაჩნია ეროვნული უმრავლესობის სახელმწიფოთა ქვეშ ცხოვრება. იმის იმედი, რომ ეს უმცირესობანი გადაიფიქრებენ და აირჩევენ ინტეგრაციას, ემყარება ცრუ წინაპირობას. პრინციპის „გააერთიანე და იბატონე“ გამოყენებით ეგრეთ წოდებული „საერთაშორისო გაერთიანება“ ხელს უწყობს არასტაბილურობას. მაგალითად, ბოსნიაში კონფლიქტის ყველა მხარეს დეიტონის კომპრომისი მიაჩნია მიუღებლად და ამ პირობათა შესრულების მცდელობა ცეცხლზე ნავთს ასხამს. რატომ ვერ ვამჩნევთ, რომ სამ ჯგუფს აქვს ურთიერთგამომრიცხავი და მიუღებელი აზრი იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს მათი ქვეყანა და ვაიძულებთ მათ იცხოვრონ საერთო სახლში? რატომ არის, რომ დაჟინებით არ გვინდა გავიგოთ, რომ საერთაშორისო გაერთიანების აქტიური მონაწილეობა არ დაეხმარა მათ დაახლოებოდნენ ჩვენთვის სასურველ ურთიერთობათა კონცეფციას? რომ ეს პოლიტიკა უფრო ნათლად გვახასიათებს ჩვენ თვითონ, ვიდრე მოცემული რეგიონის მცხოვრებლებს?

საქართველოსთან დაკავშირებით დასავლეთს ასევე სასიკეთოდ მიაჩნია იმედი და იმეორებს იგივე შეცდომებს. რასაკვირველია, საუკეთესო ვარიანტი იქნებოდა, თუ დასავლეთის მცდელობა კონფლიქტის გადაჭრისათვის მიგვიყვანდა კომპრომისამდე, რომელიც ყველასათვის მისაღები იქნებოდა. ზოგიერთ ქვეყანაში — მაგალითად, მაკედონიაში — ამ მეთოდმა, ალბათ, წარმატება მოიტანა. მოლდოვაშიც ეს შესაძლებლად რჩება. მაგრამ ჩრდილოეთი კვიპროსის პრობლემა დღეს არაფრით არ არის უფრო ახლოს მოწესრიგებასთან, ვიდრე 35 წლის წინათ, თუმცა დიდი ბრიტანეთი ათეულობით წელია ახორციელებს სამშვიდობო ძალისხმევას. სხვათა შორის, გარკვეული მიღწევები ნათელია: კუნძული აგრძელებს მშვიდობან ცხოვრებას და არ ითრევს საბერძნეთსა და თურქეთს უფრო ღრმა კონფლიქტში. პირიქით, ურთიერთობა კონფრონტაციის ამ ორ მთავარ ყოფილ გმირს შორის უმჯობესდება.

არის სხვა კონფლიქტებიც, რომლებსაც აქვთ უფრო მეტი პოტენციური დემასტაბილიზებელი ეფექტი. თუ არ იქნება მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილება, ისინი ისევე დარჩებიან ჩირქოვან მუწუკებად, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ განხეთქილება და ჩართონ მხარეთა მოკავშირეები დავებსა და კონფლიქტებში. კოსოვოსთან დაკავშირებით დასავლეთმა შეიგნო, რომ დამოუკიდებლობა — ეს ყველაზე ნაკლებად ცუდი ვარიანტია და მიიღონ ზომები, სანამ ჯერ კიდევ ინარჩუნებენ ამ სეპარატისტულ სახელმწიფოებზე მნიშვნელოვან გავლენას. დასავლეთი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ამბივალენტური მდგომარეობის გახანგრძლივებით ვერაფერს ვერ მოიგებდა.

მაგრამ დასავლეთს, როგორც ჩანს, არ შეუძლია მივიდეს იგივე აზრამდე სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან დაკავშირებით. თუმცა ეს ტერიტორიები საქართველოსთვის ისევე დაკარგულია, როგორც კოსოვო სერბეთისათვის. რეალისტური გამოსავალი შეიძლება ვეძებოთ მხოლოდ იმ პირობით, თუ დასავლეთი აღიარებს: დამსხვრეული სარკის აღდგენა შეუძლებელია. ევროკავშირის ლიდერებს არ ესმით, რომ აფხაზეთის ალტერნატიული დამოუკიდებლობა — ეს საქართველოსთან მისი ინტეგრაცია როდია, ეს არის რუსეთთან ინტეგრაცია, რის შემდეგაც დასავლეთის დიპლომატები არა მხოლოდ დაკარგავენ გავლენას, არამედ ამ ტერიტორიებზე მისვლის საშუალებასაც კი. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების სანაცვლოდ დასავლეთმა შეიძლება დაბეჯითებით მოითხოვოს გარკვეული პირობები, მაგალითად, მათი დემილიტარიზაცია (რუსეთის მხარეს ხომ განზრახული აქვს განათავსოს ორივე რესპუბლიკაში 7600 სამხედრო მოსამსახურეძ, მოითხოვოს ამ ქვეყნების მიერ საკუთარი საზღვრების დამოუკიდებლად დაცვა და ქართველების მნიშვნელოვანი ნაწილისათვის ნების მიცემა, დაბრუნდნენ თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში. ამ მომენტში დასავლეთს აქვს გარკვეული ბერკეტები, მაგრამ დაახლოებით ერთი წლის შემდეგ შანსი ხელიდან გაუძვრება: აფხაზეთი თანდათან ახდენს კრასნოდარის მხარესთან ინტეგრირებას, სამხრეთ ოსეთი კი ჩრდილოეთ ოსეთთან, რომელიც რუსეთის შემადგენლობაში შედის. საერთაშორისო აღიარება ამ გამოყოფილი ოლქებისა გახდება მტკივნეული დარტყმა საქართველოს სიამაყისათვის, მაგრამ ხანგრძლივ პერსპექტივაში შეიძლება დადებითი შედეგიც კი გამოიღოს, ვინაიდან დაეხმარება საქართველოს მთელი ყურადღება გაამახვილოს საკუთარ განვითარებაზე. დღემდე კონფლიქტი მძიმე ტვირთად აწევს ამ ქვეყანას და არ აძლევს საშუალებას, გამოიყენოს თავისი პოტენციალი სრულად.

სწორედ ეს უნდა გახდეს ჟენევის მოლაპარაკებათა მთავარი თემა: როგორ უნდა მოვიქცეთ სეპარატისტულ ტერიტორიებთან დაკავშირებით, რომ მათ არ მოახდინონ არასტაბილურობის ექსპორტირება ევროპაში? როგორ გადავჭრათ თვითგამოცხადებული სახელმწიფოების პრობლემა? შეიძლება, ყველა შესაძლებლობათა შორის უკეთესი იყოს რუსეთის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკება და წინადადების შეთავაზება: დაე, რუსეთმა აღიაროს კოსოვო მიტროვიცის გამოკლებით, ხოლო დასავლეთმა — აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი. ამის შემდეგ შესაძლებელი იქნება არსებითად განხილულ იქნეს ადგილზე სტაბილურობის ერთობლივი უზრუნველყოფის საშუალებები.

თუ ევროკავშირი ვერ გადაწყვეტს და უარს არ იტყვის დამოუკიდებლობის რეალიების შენიღბვაზე, ევროპის უშიშროების უზრუნველყოფა სრულად ვერ მოხდება ვერასოდეს. ალბათ, საშინელი დასასრული უკეთესია, ვიდრე დაუსრულებელი საშინელება.

**ანა მატვეევა**

**Guardian**

# საქართველოს გონივრული გადაწყვეტილებანი

**მიუხედავად იმისა, რომ ორი თვის წინათ მის ტერიტორიაზე შეიჭრა ქვეყანა, რომელიც ოცდაათჯერ მეტია მასზე, საქართველო, როგორც ეტყობა, თავს ართმევს მსოფლიო კრიზისის შედეგებს უკეთესად, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატები და სხვა უდიდესი სახელმწიფოები. უნებლიეთ ჩნდება შეკითხვა: რატომ?**

პასუხი საკმაოდ მარტივია: საქართველოს ხელისუფლება იმდენად გულზვიადი როდია, იფიქროს, რომ მან უკეთ იცის, ვიდრე ბაზრებმა. ამიტომ ის იმედს ამყარებს ბაზარზე, რომელიც გადაჭრის მის პრობლემებს.

საქართველო ღარიბი ქვეყანაა, მაგრამ უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში მან განიცადა ძლიერი ეკონომიკური ზრდა, აქვს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი — 9-დან 12-პროცენტამდე წელიწადში. საქართველოში ჩემი უკანასკნელი ვიზიტის შემდეგ 8 წელი გავიდა და არის თვალსაჩინო ცვლილებანი. ეკონომიკის ახალმა სკოლამ საქართველოში წელს მოაწყო ევროპული რესურსების ბანკის შეხვედრა. ამასთან დაკავშირებით მე ჩავედი ამ ქვეყანაში ხელახლა.

შფოთიანი რეფორმებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის დროიდან გარკვეული პროგრესის შემდეგ საქართველოს მცხოვრებლებმა აირჩიეს, ალბათ, მსოფლიოში ყველაზე საბაზრო მთავრობა ოთხი წლის წინათ. პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი და სახელმწიფო კანცელარიის მეთაური — ყველა ისინი თავისუფალი ბაზრის ღრმად დარწმუნებული მომხრეები არიან. ყველა მათგანმა შეისწავლა ფრიდრიხ ფონ ჰაიეკისა და მილტონ ფრიდმანის შრომები და სწავლობდნენ მარგარეტ ტეტჩერისა და რონალდ რეიგანის წარმატებებს.

ბევრი, მათ შორის რუსეთის მაღალი რანგის ყოფილი ჩინოვნიკები, ამტკიცებს, რომ საქართველოში შეჭრის დროს მოსკოვის მოტივი ნაწილობრივ იყო სურვილი დაესაჯა ახალი წარმატებული ქვეყანა, რომელიც ოდესღაც მისი ძველი იმპერიის ნაწილს შეადგენდა. ვიდრე რუსეთი გახდებოდა ნაკლებად დემოკრატიული, საქართველო ხდებოდა უფრო დემოკრატიული. რუსეთში ამოქმედდა რენაციონალიზაციისა და სახელმწიფო კონტროლის გაძლიერების მექანიზმები, საქართველოში კი მოეწყო მასობრივი პრივატიზაცია და სახელმწიფოს შეძლო რეგულირება.

თავისუფალი ბაზრის რადიკალური რეფორმისათვის შთაგონებასა და ენერგიას საქართველო უმეტესწილად უნდა უმადლოდეს მთა კაცს სახელად კახა ბენდუქიძეს, რომელთანაც გაცნობის პატივი მე პირველად მქონდა რამდენიმე წლის წინათ რუსეთში. კახა, როგორც მას უფრო ხშირად უწოდებენ, — ეს ძალიან ჭკვიანი ახალგაზრდა კაცია. ამჟამად იგი სათავეში უდგას სახელმწიფო კანცელარიას.

მსოფლიო საფინანსო კრიზისთან დაკავშირებით ის სავსებით სწორად აღნიშნავს: ვიდრე მთავრობებს ექნებათ ცენტრალური ბანკების და საფინანსო სფეროს ზედმეტი რეგულირების იმედი, „პერიოდული საფინანსო კრიზისები გააწამებენ კაცობრიობას“. იგი ჰაიეკისა და ფრიდმანის შემდეგ ამბობს, რომ მას სიმართლედ არ მიაჩნია იმის მტკიცება, რომ ცენტრალურმა ბანკებმა შეიძლება უკეთ იცოდნენ ეკონომიკა და ეშმაკობით აჯობონ კიდეც ბაზრებს, ხოლო საფინანსო მოწესრიგებას შეუძლია როგორღაც თავიდან აგვაცილოს შემდგომი კრიზისი. თანაც ისინი ვერ ხედავენ, თუ რომელი მხრიდან უახლოვდება მათ კრიზისი.

საქართველოში განხორციელდა ფუნდამენტური საგადასახადო რეფორმა, გაიაფდა და გათანაბრდა რეფინანსირების ბანკი, მათ შორის თითქმის მთლიანად მოიხსნა გადასახადები კაპიტალის ზრდაზე, რომელიც დღემდე ავსებს ბიუჯეტს. საქართველოში აქტიურად ხორციელდება მთავრობის მოცულობის შემცირება, იკეტება არაეფექტიანი პროგრამები და ისინიც, რომელთა ამოცანებსაც უფრო უკეთ ასრულებს კერძო სექტორი.

მანამდე აყვავებული კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის წარმატებულ ღონისძიებათა ნაწილი გახდა მთავრობის ჩინოვნიკების შტატის შემცირება, დარჩენილთა ხელფასების გაზრდა და კორუფციისადმი „ნულოვანი მოთმინების“ პროგრამის გამოცხადება. ბაზრის რეგულირების შემჭიდროების ფარგლებში მათ შეამცირეს საჭირო ლიცენზიების რაოდენობა 950-დან 144-მდე. ახლა უკვე შეიძლება დამთავრდეს ყველა ბიუროკრატიული წინააღმდეგობა და მივიღოთ შედეგები საკუთარი საქმის წარმოებისათვის ერთი დღის განმავლობაში. ამჟამად საკუთრების ცვლილებების რეგისტრაციას სჭირდება არა 30 დღე, როგორც ადრე, არამედ 2 საათი.

ადრე საქართველოში იყო სერიოზული პრობლემა კონტრაბანდასთან დაკავშირებით, მაგრამ ახალმა ხელმძღვანელობამ მოხსნა თითქმის ყველა სავაჭრო ბარიერი და ტარიფი. ასე რომ, პრაქტიკულად გაქრა კონტრაბანდის არსიც და მასთან ერთად დაკავშირებული კორუფციაც.

შეჭრის დროს მთავრობამ უარი თქვა კონტროლის შემოღებაზე, ფასებზე და რესურსების განაწილებაზე. შედეგად ადგილი არ ჰქონდა ფასების რაიმე ხანგრძლივ ვარდნას, თავისუფალმა ბაზარმა კი თავად სწრაფად შეავსო ომის მიერ პროვოცირებული დეფიციტი. ამავე დროს თუ საქართველოს ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელობა აამაღლებს ინფლაციის ზედა პლატას, იგი გათავისუფლებული იქნება.

პრემიერ-მინისტრი ლადო გურგენიძე დიდი ხნის განმავლობაში სწავლობდა და ცხოვრობდა დიდ ბრიტანეთში და მასზე გარკვეულწილად დიდი გავლენა მოახდინა ტეტჩერმა. მე მას შევეკითხე, ხომ არ ეშინია, რომ კრიზისული სიტუაციის ზემოქმედებით, რაც გამოიწვია შემოჭრამ, საჭირო გახდება მთავრობის გაზრდა?

პრემიერ-მინისტრმა მიპასუხა, რომ საქართველოს მცხოვრებლები უარს არ იტყვიან თავიანთ რეფორმებზე, კერძოდ, მთავრობის მოცულობის შემცირებაზე და მათ სრულად ესმით ნებისმიერი გაუფრთხილებელი ნაბიჯის მთელი საშიშროება.

საქართველოს აქვს პრობლემები, მათ შორის ლტოლვილთა დიდი რაოდენობა, რომლებიც ქვეყანაში გაჩნდნენ ომის შემდეგ. მაგრამ ევროპული მთავრობებისა და ვაშინგტონისაგან განსხვავებით, ქართულმა ელიტამ არ მოახდინა კრიზისზე რეაგირება „ახალი დღის პროგრამით“. ამის ნაცვლად ხალხს უთხრეს, რომ მთავრობა მას ხელს არ შეუშლის და მას თავად მოუწევს ახალი პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. დღემდე ადამიანები ამ პრობლემას თავს კარგადართმევდნენ და მთავრობა რჩება მეტად პოპულარული.

**რიჩარდ რანი**

**The Washington Times**

## ბიზნესგარემო

***სანავთობო** კრიზისში ჩაყვინთულ მსოფლიოს, რომელსაც წლევანდელმა ივლისის „ხვატმა" (იმ პერიოდში ბარელი ნავთობის ფასმა რეკორდულ ნიშნულს — 147 დოლარს მიაღწია) სიმწრის ოფლი აღვრევინა, სექტემბრის დასაწყისში ბრაზილიიდან წამოსულმა ტროპიკულმა „ქარიშხალმა" გადაუარა და ერთბაშად გააგრილა. რა თქმა უნდა, თუკი იმ სენსაციურ ცნობას, რომელიც ამ ქვეყნიდან გახმაურდა, ცეცხლის ალში გახვეული სანავთობო ბაზრის გაგრილება რეალურად შეეძლო. ლაპარაკია ცნობაზე, რომელმაც მსოფლიოს აუწყა: ლეგენდარული პელეს სამშობლოში აღმოჩენილია ნავთობის უზარმაზარი საბადოები, რომელთა ერთობლივი მარაგი თურმე 40 მილიარდ ბარელს აჭარბებს.*

# „შავი ოქრო" ვითომ „ვერცხლად" გაიყიდება?



## საქართველომ ნავთობის გაიაფება მხოლოდ შორიდან იყნოსა

ჯერ არდაბადებულმა „აბრამმა" გარდა იმისა, რომ ბრაზილიელებს საერთაშორისო ბაზარზე ნავთობის ექსპორტის გაზრდის დიდი შანსი მისცა, მუშტარ-გამსაღებელიც უმალ მოუმრავლა. ამათგან ყველას დაასწრო ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ, რომელმაც ბრაზილიის ნავთობის შესყიდვა გადაწყვიტა, ხოლო საუდის არაბეთმა მას (ბრაზილიას) ოპეკში გაწევრება შესთავაზა. მიიღებს თუ არა ამ წინადადებას თავად ბრაზილია ან რამდენად რეალურია ამ ქვეყანაში აღმოჩენილი ნავთობის საბადოების პერსპექტივა, ამას მომავალი გვიჩვენებს.

მანამდე კი მკითხველს არანაკლებად ალბათ ისიც დააინტერესებს, რაც ამერიკის ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა ალბერტ გორმა ვაშინგტონში ახლახან გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. უახლოეს 10 წელიწადში, თქვა მან, ამერიკა უარს იტყვის ნავთობისგან მიღებულ ენერგიაზე, გამოძებნის ალტერნატიულ წყაროებს, რათა ერთხელ და სამუდამოდ გამოეშვას ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების კაბალური ულისგან. საამისოდ ამერიკაში ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს და ნობელიანტ ვიცე-პრეზიდენტს იმედი აქვს, რომ ის უცილობელ შედეგს გამოიღებს.

რამდენად დაემუქრება სენსაციური პროგნოზები მსოფლიო სანავთობო ბაზარზე არსებულ რეალობას, ძნელი სათქმელია, თუმცა ვერც იმას ავუქცევთ გვერდს, რაც ამ ბაზარზე ბოლო პერიოდში ხდება. ნედლ ნავთობზე ფასის კლება ისეთი ტემპით განვითარდა, ამ საქმის ცნობილი ექსპერტებიც კი პირდაღებული დარჩნენ, რომ აღარაფერი ვთქვათ ოპეკის წევრ ქვეყნებზე, რომლებსაც მადა იმდენად გაუღვივდათ, რომ ფულის შესანახად ახალ ადგილებს ეძებდნენ. გასაგებია მათი აღტკინება, სხვებს რომ თავი დავანებოთ, მარტო ირანს ზაფხულის პერიოდში ყოველდღიურად 300 მილიონ დოლარზე მეტი წმინდა მოგება რჩებოდა. მენავთობე ბიზნესმენები, რომ იტყვიან, პირდაპირ „ოქროს აუზში" ცურავდნენ და ირწმუნებოდნენ, რომ წლის ბოლოს ნავთობის ფასი 500 დოლარამდე გაიზრდებოდა. კბილებს ილესავდა რუსეთიც, რომელიც შუააზიურ ქვეყნებზე ზეწოლითა და ევროპის დაშანტაჟებით ცდილობდა ენერგეტიკულ ბაზარზე ხელოვნური დეფიციტის შექმნას.

ვერ ვიტყვი, რომ საბოლოოდ, მაგრამ ხელოვნური დეფიციტის ავტორებს რომ „პროგნოზმა" ჯერჯერობით არ გაუმართლათ, ეს ფაქტია. ნედლი ნავთობის ფასმა საერთაშორისო ბირჟაზე თანდათანობით იკლო და ის 147 დოლარიდან 16 სექტემბრისათვის 87 დოლარამდე დავიდა.

ბაზარზე, როგორც ცნობილია, ყველაფერი, მათ შორის ფასებიც, საბაზრო ეკონომიკის კანონებით იმართება და მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. კერძოდ, ფასების კატასტროფულმა ზრდამ ნავთობზე მოთხოვნა საგრძნობლად შეამცირა. ოპეკმა ეს რეალობა რატომღაც არ გაითვალისწინა, ნავთობის მოპოვების შემცირებაზე უარი თქვა და აი შედეგიც — ამჟამად ბაზარზე მიწოდება ყოველდღიურად 1-1,5 მილიონი ბარელით აღემატება მოთხოვნას.

მართალია, ოპეკის თავნება (თუ თავკერძა?) მმართველებს სტიქია წამოეხმარა, ბუნებრივმა კატაკლიზმებმა ამ ცოტა ხნის წინათ მექსიკის ყურეში ნავთობმოპოვება შეაჩერა, მაგრამ აშშ-ის ხელისუფლების წყალობით, ამას ნავთობის ფასებზე არ უმოქმედია. საქმე ის გახლავთ, რომ მოსალოდნელი დეფიციტის დასაფარად ამერიკამ ვაჟკაცურად იმუშავა — სახელმწიფო სტრატეგიული მარაგებიდან მილიარდი ბარელი ნავთობი გამოყო და ენერგეტიკული ბაზარი მორიგ საფრთხეს აარიდა. ამასთან, კონგრესმა დაიწყო მუშაობა კანონპროექტზე, რომელიც ამერიკას თავის ტერიტორიულ წყლებში ნავთობის მოპოვების უფლებას მისცემს.

ალბათ მეტყვით, ეს ყველაფერი ჩემო ბატონო, იქ — საერთაშორისო ბაზარზე ხდება, სადაც ნავთობზე ფასები ჟამდაჟამ კატასტროფულად იზრდება და შემდეგ ასევე კატასტროფულად მცირდება, მაგრამ რით შეიძლება ავხსნათ ის გარემოება, რომ საქართველოში ნავთობპროდუქტების იმპორტიორები უფრო ფასების მატებაზე არიან ორიენტირებული და თუ ერთხელ როგორმე გაზარდეს, მერე შემცირება აღარ ეხერხებათ?

ამ კითხვაზე ყოველთვის აქვს პასუხი ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის თავმჯდომარეს **ვანო მთვრალაშვილს.** მისი განმარტებით, საერთაშორისო ბაზარზე ნავთობის ფასების მკვეთრმა რყევებმა მძიმე მდგომარეობაში რომ არ ჩააყენოს მწირი ფინანსური შესაძლებლობების მქონე ქართველი მომხმარებელი, ჩვენი იმპორტიორები ცდილობენ, ყოველთვის იქონიონ ნავთობპროდუქტების საკმაო მარაგი. ეს მათ შესაძლებლობას აძლევს, კარგა ხნით შეინარჩუნონ ძველი ფასები მაშინაც კი, როცა საზღვარგარეთის ქვეყნებში ნავთობზე ფასების ზრდამ უკვე პიკს მიაღწია. თუმცა ამას აქვს თავისი უარყოფითი მხარეც, საზღვარგარეთ ფასების კლების პარალელურად, იმავე მარაგის წყალობით, სწრაფად ვერ ხერხდება ფასების ბალანსირება. ეს პროცესი დაგვიანებით, მაგრამ მაინც მიმდინარეობს (ბევრმა ნავთობკომპანიამ ბენზინი და დიზელის საწვავი უკვე 10-15 თეთრით შეამცირა) და კვლავაც გაგრძელდება.

**ვერ გეტყვით ასეთი განმარტება რამდენად დააკმაყოფილებს ჩვენს ავტომფლობელებს, საერთოდ, ნავთობპროდუქტების მომხმარებლებს, მაგრამ ქვეყნის ეკონომიკის ნგრევასთან ერთად ფასების ყოველდღიური ზრდა და ინფლაციის გაუმაძღარი მადა მოსახლეობას გაუსაძლის ტვირთად რომ აწვება, ვფიქრობ, ამას ნუგეშად და შემწედ ვერავითარი ახსნა-განმარტება ვერ შეუდგება. ფაქტს სად გავექცევით, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც საქართველოს მოსახლეობამ მსოფლიო ბაზარზე ნავთობის გაიაფება ჯერჯერობით მხოლოდ შორიდან იყნოსა.**

**ოთარ ხუციშვილი**

## პოეტის პიროვნება

# „ვერც ბედნიერებამ წაიცდინა, ვერც უბედურებამ დაიტყვევა..."

**ასე მგონია, ჯანო ჯანელიძეს სხვებზე მეტად ვიცნობ, მეტის თქმის უფლებაც მაქვს. ჯანო რომ გავიცანი, სკოლის მოსწავლე ვიყავი, მე-9 კლასელი, მაშინ გამოვიდა მისი პირველი წიგნი „სიცარიელე ძველ სანგრებში" და როგორც უმრწემეს მეგობარს, თბილი წარწერით მისახსოვრა. ეს ავტორის ნაჩუქარი პირველი წიგნი იყო ჩემთვის და დღესაც სათუთად ვინახავ, გამორჩეულად მიდევს თაროზე.**



მას მერე მეგობრები ვართ. ერთმანეთი რომ გვახსოვს, ერთია, უმცროს-უფროსობის კანონს ტრადიციისამებრ და ერთგულად ვიცავთ.

ჯანო სულ ბრძოლაშია, ის ყოველთვის იქ არის, სადაც უნდა იყოს ღირსეული კაცი და ქართველი პოეტი.

ასე იყო აფხაზეთში.

პირველ ისარს თუ მომწამლავ სიტყვას აფხაზებისგან ერთ-ერთი პირველი ჯანო იღებდა და დაუგვიანებელი, ბუმერანგივით პასუხიც იქვე ჰქონდა.

ჯანოს ბუნების კაცები არ იცვლებიან. ის ყოველთვის იქ იდგა, სადაც უნდა მდგარიყო.

მან იცის და სწამს, რომ ჯერ კიდევ ბევრი საქმე აქვს გასაკეთებელი. მარტო სხვადასხვა ქალაქებში (სოხუმი, აბაშა, თბილისი...) გაფანტულ ძვირფას საფლავებს ხომ სჭირდება მოვლა და სანთლის დანთებები. მეტიც, მათ ერთგან — აფხაზურ-ქართულ ტრაგედიას შეწირული ერთადერთი ვაჟიშვილის გვერდით — სოხუმის გორაზე უნდა მოუყაროს ყველას თავი! მისი ცხოვრების მიზანი ეგ არის. სჯერა, ეს მომავალი ერთიანი საქართველოს ფუძე იქნება და ახალი ურთიერთობების საძირკველიც.

დიდი ილია დიმიტრი ყიფიანზე ამბობს: „ვერც ბედნიერებამ წაიცდინა, ვერც უბედურებამ დაიტყვევაო..."

ჯანოს ცხოვრების წესიც ასეთია.

ამიტომაც უყვარს, ალბათ, ქვიშხეთი. ზაფხულობით სულ იქ არის, ყიფიანების ნასახლარზე, მწერალთა მიმოხნგრეულ და დაფხავებულ, მაინც ძვირფას სახლში. იქ წერს, იქ მოღვაწეობს, ქვეყნის სატკივარსა და დარდს იქიდან უმხელს ამერ-იმერს!..

ერთსაც ვიტყვი.

ჯანოსთანა კაცებს რომ არ ეცხოვრა აფხაზეთში, ჩვენი ძველი ხელისუფლების იმედად (თუ გნებავთ, დღევანდელებისაც!), თექვსმეტი წლის კი არა, ოცდათექვსმეტი წლის წინათ იქნებოდა აფხაზეთი დაკარგული.

ჯანოს მტკიცედ სწამს, დაბრუნდება თავის აფხაზეთში!

ეს უკვე ბევრს თუ არა, რაღაცას ნიშნავს!

მსგავსი განწყობა ქვეყნისთვისაა სასიკეთო, თითოეული ქართველისთვის — მარგი და შესაშური! ღმერთმა გისმინოს!

**შენი უმრწემესი ძმა**
**ზაურ კალანდია**

***რედაქციისგან:** გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია გულითადად ულოცავს ჯანო ჯანელიძეს სახელოვან 75 წლის იუბილეს და ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს უსურვებს.*

## ინფორმაცია

### ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ ქალბატონებს პრობლემები აღარ ექნებათ

**მკერდის კიბოს საწინააღმდეგო საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით თბილისის მერმა გიგი უგულავამ №5 სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრი მოინახულა.**

**ცენტრში იმყოფებოდა ასევე თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი მამუკა ქაცარავა და სხვა პირები. მათ სამკურნალო-პროფილაქტიკურ ცენტრში, კერძოდ პრევენციისა და სტრინინგის ეროვნული ცენტრიც დაათვალიერეს, რომელიც მერიის მიერ არის დაფუძნებული. აქ ხდება უფასო გამოკვლევები საშვილოსნოს ყელსა და მკერდზე. ამ მიზნით აქ იმყოფებოდა 144-ე და 50-ე საჯარო სკოლის მასწავლებლები.**

**გიგი უგულავამ დაათვალიერა ის კაბინეტები, სადაც ქალბატონებს სტრინინგი უტარდებათ. როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას გიგი უგულავამ განაცხადა, ძალიან დიდი მნიშვნელობა მიეცემა მომავალში ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსებაში პრევენციულ პროგრამებს და ერთ-ერთი ასეთი არის მკერდისა და საშვილოსნოს ყელის ავთვისებიანი სიმსივნეების სტრინინგის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც დედაქალაქის მაცხოვრებელ ქალბატონებს უფასო გამოკვლევები უტარდებათ.**

**თბილისის მერია მომავალშიც გააგრძელებს ამ პროგრამის დაფინანსებას და მასში სხვა სამკურნალო ცენტრებიც ჩაერთვებიან.**

### ონელებს კომპიუტერული ცენტრი ექნებათ

**ონის რაიონის სოფელ ჭიორაში კომპიუტერული ცენტრი შეიქმნება.**

**როგორც კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრიდან იტყობინებიან, 18 ოქტომბრისთვის სოფელ ჭიორაში დაგეგმილია გერმანიის გარემოს დაცვითი სამინისტროს მიერ დაფინანსებული სოფლის კომპიუტერული ცენტრის შექმნის პროექტის დასრულება.**

**სოფლის სკოლაში დაინსტალირდება სატელიტური ინტერნეტი და დაიდგმება რამდენიმე კომპიუტერი, რაც არა მარტო ჭიორას, არამედ მიმდებარე სოფლების ინტერნეტით მომსახურებას უზრუნველყოფს.**

ინტერპრესნიუსი

◉ კალათბურთი

# რუსთაველებს „საშემოდგომო“ გამოჰყვათ

**სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია – ქართული საკლუბო კალათბურთი სტახანოვური ტემპებით სცილდება საშუალო ევროპულ დონეს. ვიმეორებთ – საშუალო ევროპულს, თორემ მანძილი გრანდებამდე გაცილებით უფრო დიდია.**

ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ჩვენი ქვეყნის მოქმედი ჩემპიონის რუსთავის „ენერჯი ინვესტის“ უსუსური სტარტი ევროჩელენჯის საკვალიფიკაციო რაუნდში – დავით უსტიაშვილის გუნდმა თბილისის სპორტის სასახლეში გამართული პირველი მატჩი უკრაინის „სუმიხიმპრომთან“ უიმედოდ წააგო 81:110 და საპასუხო შეხვედრას ინტერესი დაუკარგა. არადა ქვემოქართლელები, მოგეხსენებათ, თანამედროვე ქართული კალათბურთის ლიდერები არიან და ეროვნულ ნაკრებშიც სოლიდური წარმომადგენლობა ჰყავთ.

სეზონის წინ რუსთაველთა სპონსორებმა საკმაოდ იაქტიურეს სატრანსფერო ბაზარზე, მაგრამ კვალიფიციურ ლეგიონერთა მოზღვავება წარმატების მოსაპოვებლად საკმარისი არ აღმოჩნდა – ბიჭებმა უბრალოდ ვერ მოასწრეს ახალ პარტნიორებთან შეთამაშება.

დავძენთ, რომ არცთუ მრისხანე მეტოქესთან ბრძოლაში შედეგიანობით გამოირჩეოდნენ ვუკადინოვიჩი (23 ქულა), მაკფერსონი (18 ქულა), უგრეხელიძე (15 ქულა) და ტულუში (12 ქულა). რაც შეეხება „ჯვაროსანთა“ სასტარტო ხუთეულის წევრ გამყრელიძისა და განთქმულ სნაიპერ ლეჟავას მიერ მოგროვებულ 2-2 ქულას, დაგვეთანხმებით, საკვანძო ფიგურათა ასეთმა მწირმა მონაგარმაც გარკვეულწილად განაპირობა სავალალო შედეგი.



◉ ჭადრაკი

# პირველ პარტიაში დაზავდნენ



**ბონში, სახვითი ხელოვნების ფედერალურ საგამოფენო დარბაზში დაიწყო მსოფლიო საჭადრაკო გვირგვინისთვის ამჟამინდელი მსოფლიო ჩემპიონის, ინდოელი ვიშვანათან ანანდისა და ექსჩემპიონის, რუსეთელი ვლადიმერ კრამნიკის მატჩი. ის მიმდინარეობს ამ უძველესი თამაშის მგზნებარე თაყვანისმცემლის, გერმანიის ფინანსთა მინისტრის პეერ შტაინბრიუკის პატრონაჟით და 2 ნოემბრამდე გასტანს.**

პირველ პარტიაში მეტოქეები 32-ე სვლაზე ყაიმზე შეთანხმდნენ. თეთრი ფიგურებით ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი თამაშობდა. საერთო საყაიმო შედეგის შემთხვევაში გაიმართება ტაი-ბრეიკი. აქამდე ასეთ შემთხვევაში გამარჯვებულად იმჟამინდელი ჩემპიონი ცხადდებოდა. მატჩის საპრიზო ფონდია 1,5 მილიონი ევრო. მას მეტოქეები თანაბრად გაიყოფენ.

აღსანიშნავია, რომ ამ ორთაბრძოლაში გამარჯვებული შემდგომში შეხვდება ბულგარელი ვესელინ ტოპალოვისა და მსოფლიო თასის მფლობელ, ამერიკელ გატა კამსკის მატჩში გამარჯვებულს.

◉ ახალი სახე

## უწინდელი დიდების დასაბრუნებლად

**გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის დარბაზში ტანვარჯიშულ სახეობათა ეროვნული ფედერაციის ყრილობა გაიმართა. მოხსენებით გამოვიდა ფედერაციის გენერალური მდივანი თომზა ცომაია, რომელმაც ოთხი წლის განმავლობაში გაწეული მუშაობა მიმოიხილა.** აღინიშნა, რომ სპორტის დეპარტამენტისა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აქტიური მხარდაჭერით შესაძლებელი გახდა პეკინის ოლიმპიური თამაშების ორი საგზურის მოპოვება. საგულისხმოა ისიც, რომ 18 წლის ბატუტისტმა ლუბა გოლოვინამ ჩინეთის დედაქალაქში VI ადგილი დაიკავა, ტანმოვარჯიშე ლია გიორგაძემ კი ოლიმპიადაზე წლეულს მეოთხედ იასპარეზა.

ყრილობამ ფედერაციის მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეაფასა. შემდეგ გაიმართა არჩევნები. პრეზიდენტის პოსტზე ერთხმად დაუჭირეს მხარი კონსტანტინე (კობა) სვინტრაძის კანდიდატურას.

– ტანვარჯიშული სახეობები ჩემთვის უცხო არ არის, ჭაბუკობიდან ვქომაგობ, – მითხრა ბატონმა კობამ. – ვიცი, რა სირთულეების წინაშე დგას იგი, ამიტომ ჩემი პრეზიდენტად არჩევა ერთგვარ გამოწვევადაც მესახება. ყრილობამდე შევხვდი და ვესაუბრე ქართული ტანვარჯიშულ სახეობათა სამყაროს წარმომადგენლებს – ვეტერანებსა თუ მოქმედ სპორტსმენებს, შევიტყვე მათი სატკივარი. ერთმანეთის თანადგომით ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ტანვარჯიშს უწინდელი დიდება დავუბრუნოთ.

◉ სუმო

# გვიმრავლოს!

**ქართველ მსოფლიო ჩემპიონთა რიგებს ზაზა გალაშვილი შეემატა. თელაველმა მძიმეწონოსანმა ყველას ესტონეთის ქალაქ რაკვერეში გამართულ 18 წლამდე ასაკის ჭაბუკ სუმოისტთა ფორუმზე აჯობა. ჩვენმა თანამემამულემ ბალტიისპირულ დოჰიოზე თანმიმდევრობით სძლია ეგვიპტელ და პოლონელ მეტოქეებს, სატიტულო შერკინება კი იაპონელ იოშიდა კაისუკას მოუგო.**



საპატიო მეხუთე ადგილზე დაასრულა ასპარეზობა ალექსანდრე ხაფავამ (აბსოლუტური წონა), ხოლო ალექსანდრე კაკაბაძეს (100 კგ) ხელი მოეცარა.

უფროსთა ტურნირში პარტნიორთაგან საუკეთესო შედეგი კოკაის უმცროსმა ძმამ გიორგი ცაგურიამ (115 კგ) აჩვენა, რომელმაც მეხუთე ადგილი დაიკავა. ამჯერად კვარცხლბეკს მიღმა აღმოჩნდნენ აგრეთვე ადამ ოქრუაშვილი და ვეტერანი ალექსი დავითაშვილი.

დავძენთ, რომ გუნდურ ასპარეზობაში ასევე მეხუთე შედეგი აჩვენა საქართველოს ნაკრებმა, „ჯვაროსნებმა“ ბულგარელებთან გამარჯვების შემდეგ იაპონელებთან და პოლონელებთან დათმეს პაექრობები.

◉ ინტერნეტიდან



## იალქნებით – დედამიწის გარშემო

**ესპანური ალიკანტედან სტარტი აიღო Volvo Ocean Race – დედამიწის გარშემო იალქნიანი იახტებით რბოლამ. ის 10 ეტაპად გაიმართება და თითქმის 9 თვეს გასტანს.** რბოლის მონაწილე 8 იახტა ხმელთაშუა ზღვიდან გიბლარტარის გავლით ატლანტიკის ოკეანეში გავიდა. სასტარტო ეტაპის სიგრძეა დაახლოებით 6500 საზღვაო მილი, ქარავანი ბრაზილიის სანაპიროების მახლობლად ჩაივლის, ხოლო დაახლოებით 3 ნოემბერს პირველი ეტაპის ფინიში სამხრეთ აფრიკაში – კეპტაუნში ექნება.

რბოლის მონაწილეთა გასაცილებლად ალიკანტეში ჩავიდა ესპანეთის მეფე ხუან კარლოს II, გზა დაულოცა მათ და ბედნიერი ცურვა უსურვა.

## შარაპოვა შეყვარებულია?

**ჩოგბურთის ლამაზმანს მარია შარაპოვას თაყვანისმცემლებს რა გამოულევს, მაგრამ დღემდე არავინ იცოდა, თუ ვინ იყო მისი გულის რჩეული.** თუმცა ჭორაობდნენ პოპ-ჯგუფის „მარუ ფაივის“ სოლისტ ადამ ლივაინზე, ასევე ამერიკელ ჩოგბურთელ კოლეგაზე – ენდი როდიკზე. მაგრამ ჭორები ქარს გაჰყვა, მარია კი ამ დღეებში საზოგადოებაში გამოჩნდა 25 წლის ჩარლზ ებერსოლთან ჩახუტებული. ჩარლზი ტელეკომპანია ეი-ბი-სის პრეზიდენტის, ამერიკაში, ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანის დიკ ებერსოლის ვაჟიშვილია.

ეს წყვილი ერთმანეთს ეხუტებოდა კალიფორნიაში ჩოგბურთელი ძმების მაიკ და ბობ ბრაინების მიერ გამართულ საქველმოქმედო საღამოზე. ისინი პაპარაცებსაც არ ერიდებოდნენ. როგორც ამბობენ, ისინი, უკვე დიდი ხანია, ხვდებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ ხალხში პირველად გამოჩნდნენ ერთად.



როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩარლზის მამა ამერიკაში ერთ-ერთი უმდიდრესი კაცია, ის გამოირჩევა სპორტისადმი, განსაკუთრებით კი, ოლიმპიური თამაშებისადმი სიყვარულით. ბოლო ოთხი ოლიმპიადის ტრანსლაციის უფლებისთვის ებერსოლ-უფროსმა სამნახევარი მილიარდი დოლარი გადაიხადა. მისი ვაჟიშვილი კი ჟურნალისტიკითა და დოკუმენტური კინოთია გატაცებული.

აღსანიშნავია, რომ 2004 წელს ებერსოლების ოჯახი ავიაკატასტროფაში მოხვდა – დაიღუპა ჩარლზის 14 წლის ძმა – ტედი.

◉ კრივი

# კლიჩკოები მილიონებზე არ იყიდებიან

**ჩვენმა მკითხველებმა ალბათ უკვე იციან, რომ დიდ სპორტში დაბრუნებულმა უკრაინელმა მოკრივემ ვიტალი კლიჩკომ მერვე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა სემ პიტერი. ამ გამარჯვებით ძმები კლიჩკოების „კოლექციაში“ აღმოჩნდა ოთხი მთავარი წონითი კატეგორიიდან სამი პრესტიჟული ქამარი. ამან დიდად დააინტერესა მსოფლიო კრივის ცნობილი პრომოუტერი დონ კინგი. მან ითავა ძმების – ვიტალი და ვლადიმერ კლიჩკოების ორთაბრძოლის გამართვა, რისთვისაც მათ ასი მილიონი დოლარი შესთავაზა, მაგრამ კატეგორიული უარი მიიღო.**



როგორც საქმეში ჩახედულნი ამბობენ, ამ უარისთვის ძმებს სამი მიზეზი გააჩნიათ: ჯერ ერთი, ისინი ერთმანეთის წინააღმდეგ არასოდეს არ გამოვლენ, მითუმეტეს დონ კინგის შეთავაზებით. რადგან ეს დიდად შელახავდა ძმების იმიჯს.

მეორე – ფსიქოლოგიური მიზეზია – ატლანტაში ოლიმპიადაზე გამარჯვების შემდეგ, ძმები ფიქრობდნენ „კინგის ფრთებს ქვეშ შეყუჟვას“, მაგრამ კინგმა ისინი უპატივცემულოდ მიიღო. ქათმის ქონით დასვრილი ხელებით გაუწოდა მათ ასევე დასვრილი კონტრაქტის ფურცლები, რამაც ძმებში აღუწერელი ზიზღი გამოიწვია.

მესამე და მთავარი: ჯერ კიდევ ბავშვობაში დედამ მათ სთხოვა, რინგზე არასოდეს ებრძოლათ ერთმანეთის წინააღმდეგ და ეს მათი ცხოვრების კანონი გახდა, რასაც ვერ გადაწონის კინგის შემოთავაზებული 100 მილიონი დოლარიც კი!

## საქველმოქმედოდ – ცხოველებისთვის

**ამ ქვეყანაზე გარეული თუ შინაური ცხოველებისადმი ჰუმანური დამოკიდებულებისათვის ბრძოლა საყოველთაო საზრუნავი აღმოჩნდა. ეწყობა უამრავი საქველმოქმედო ღონისძიება, ზოგჯერ უცნაურიც კი, სხვა რომ არაფერი, ამ მიზნით შიშვლდებოდნენ ნაომი კემპბელი, ევა მენდესი, პამელა ანდერსონი და ბევრი სხვა.**

ახლა მათ მიემატა ავტორბოლის „ფორმულა-1“ მარკეტინგული უფლებების მფლობელის ბერნი ეკლსტოუნის ქალიშვილი – თამარა. მართალია, ის მთლიანად არ გატიტვლებულა და ყველაზე საინტერესო ნაკვთები კუბოკრული ქსოვილით დაიფარა, რაც ავტორბოლების თავისებური სიმბოლოა.



მისი თქმით, ზოგიერთი მოდელი ჩვენებებზე ცხოველთა ბეწვით შეკერილ რამეს რომ ამზეურებს, საშინელებაცაა და საზიზღრობაც!

◎ სამართალი ქართულად

# „ზუგდიდსოფლტექნიკის“ ხელმძღვანელობა თანხების მითვისებაში დაადანაშაულეს



**ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში სს „ზუგდიდსოფლტექნიკის“ ხელმძღვანელობის გახმაურებული სასამართლო პროცესი რამდენიმე თვე მიმდინარეობდა. გენერალურ დირექტორს მურთაზ ფაცაციას, კომერციულ დირექტორს ნაპო გაბისონიას, ფინანსურ დირექტორს თემურ ხაზალიას და კიდევ სხვებს ბრალი დაედოთ უფლებამოსილების გადამეტებაში, დიდი ოდენობით გადასახადებისთვის განზრახ თავის არიდებაში. 2004-2005-2006 წწ. თავიანთთვის და სხვისთვისაც გამორჩენის მიზნით საზოგადოების შემოსავლებში არ აისახა 1 483 299 ლარი, რითაც მიითვისეს სს „ზუგდიდსოფლტექნიკის“ კუთვნილი 1 001 446 ლარიდან აქციონერების კუთვნილი 424 807 ლარი.**

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით მურთაზ ფაცაციასა და ნაპო გაბისონიას მიესაჯათ 19-19 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 10 000 ლარის ოდენობით.

სს „ზუგდიდსოფლტექნიკის“ მიერ წლების განმავლობაში ოდიშისა და ზემო სვანეთის სატყეო მეურნეობებიდან ლიცენზირების საფუძველზე ეზიდებოდნენ სამასალე მორებს და შეშას. წიფლის ჯიშის ხის მასალის მზა პროდუქციის ექსპორტირება ხდებოდა თურქეთის რესპუბლიკაში. მსჯავრდებულთა ადვოკატის მებრძოლ ჭკადუას განმარტებით, განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი, წინასწარი გამოძიების დროს არავითარი ყურადღება არ ექცეოდა ობიექტური სინამდვილის დადგენას. „სასამართლომ მითვისების პერიოდში მ. ფაცაციასა და ნ. გაბისონიას მიმართ გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად დაუდო მთავარი ბუღალტრის თემურ ხაზალიას ჩვენება. სასამართლოში საქმის განხილვის დროს აშკარად გამოიკვეთა, რომ თ. ხაზალია დაშინებული და გადაბირებული იყო. გამოძიების მტკიცებით, თუკი ის დაუდგებოდა მ. ფაცაციასა და ნ. გაბისონიას და მათ საწინააღმდეგოდ ცრუ ჩვენებას მისცემდა, მასთან განხორციელდებოდა საპროცესო შეთანხმება და შეუფარდებდნენ უმნიშვნელო სასჯელს, რაც განხორციელდა კიდეც. თემურ ხაზალიას 22 წლისა და 6 თვის თავისუფლების აღკვეთა შეუმცირეს 2 წლამდე, თუმცა სასამართლოში დაკითხვაზე ის სულ გაიძახოდა, რომ არანაირი თანხა მ. ფაცაციას, ნ. გაბისონიას და არც მას მითვისებული არ ჰქონიათ, რამდენადაც წარმოებას მოგება არ ქონია და, ბუნებრივია, აქციონერებზე რაიმე თანხა არ იყო დარიცხული, – აღნიშნა მებრძოლ ჭკადუამ.

ადვოკატის თქმით, გამოძიებისა და სასამართლოს მიერ განხორციელდა უჩვეულო და კურიოზული ფაქტები – ჯერ ერთი, მ. ფაცაცია და ნ. გაბისონია დადანაშაულდნენ საკუთარი თანხების მითვისებაში; მეორე, სასამართლოზე დაკითხულმა დაზარალებულებმა განმარტეს, რომ ისინი არ არიან დაზარალებულნი და არც მათი თანხები არ არის მითვისებული და არც რაიმე პრეტენზიები გააჩნიათ მ. ფაცაციასა და ნ. გაბისონიას მიმართ. გამოძიება და სასამართლო კი მათ უმტკიცებდა საპირისპიროს: არა, თქვენ დაზარალებულები ხართ და თქვენი თანხებიც მითვისებულიაო, – ამბობს მებრძოლ ჭკადუა.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით საჩივარი შეიტანეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც არ გაითვალისწინა საჩივარი მათი გათავისუფლების შესახებ, მხოლოდ სასჯელი – მ. ფაცაციას 12 წლამდე, ხოლო ნ. გაბისონიას 15,5 წლამდე შეუმცირა.

**ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულია საქართველოს უზენაეს სასამართლოში და თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლოს უმაღლესი ინსტანცია, გაურკვეველია.**

**ლადო ქირია**
**ზუგდიდიდან**

## „ლიბო ჯგუფის“ განცხადება

ჩვენი ძირითადი საქმიანობა დაკავშირებულია სამშენებლო სფეროსთან. „ლიბო ჯგუფში“ გაერთიანებული ორგანიზაციები აწარმოებენ საპროექტო, სამშენებლო, დეველოპერულ საქმიანობას და ახორციელებენ რამდენიმე მნიშვნელოვან პროექტს ქ.თბილისში.

ბოლო ხანებში გახშირდა სავაჭრო (სასაქონლო) ნიშანი „ლიბოს“ სხვადასხვა პიროვნებების და ორგანიზაციების მიერ არაკანონიერად გამოყენებისა და ამ ნიშნით საქონლის ან მომსახურების შეთავაზება, მათ შორის სამშენებლო სფეროშიც.

ერთ-ერთ ასეთ ორგანიზაციასთან („სამშენებლო-საინვესტიციო კომპანია ლიბო“) ჩვენ გვაქვს სასამართლო დავა.

ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ მიერ ჩვენი კომპანიის დამფუძნებელ ფიზიკურ პირზე დარეგისტრირებულია სასაქონლო ნიშანი „ლიბო“, რაზეც გაცემულია მოწმობა M 16577. შესაბამისად, ნებისმიერ სხვა ფიზიკურ ან იურიდიულ პირს არა აქვს ამ სასაქონლო ნიშნით მომსახურების ან საქონლის შეთავაზების უფლება.

მომხმარებლის ინტერესების დაცვის მიზნით მოგიწოდებთ ნებისმიერი ასეთი შემოთავაზებისთვის (სასაქონლო ნიშანი „ლიბო“) მოითხოვოთ ამ ნიშნით სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

ასეთი ფაქტის აღმოჩენისას გთხოვთ დაგვიკავშირდეთ ტელეფონზე: (99532) 91 19 89.

**დავით სანიკიძე,**
**„ლიბო ჯგუფის“ აღმასრულებელი დირექტორი.**

## განცხადება

**საქართველოს არქიტექტორთა შემოქმედებითი კავშირის წევრთა საყურადღებოდ!**

**2008 წლის 31 ოქტომბერს ქ.თბილისში, რესტორან „აფხაზეთის“ დარბაზში (მტკვრის მარცხენა სანაპირო. კინოსტუდიის საცხოვრებელი სახლების მოპირდაპირედ) გაიმართება კავშირის წევრთა XXIII (რიგგარეშე) საერთო კრება.**

**კრების მუშაობის დასაწყისი 10 საათზე**
**რეგისტრაციის დასაწყისი 9.30 საათზე**

კრების მონაწილის მანდატები გაიცემა საკ-ის ოფისში 23-დან 30 ოქტომბრის ჩათვლით (შაბათ-კვირის გარდა) 11-დან 18 საათამდე.

**კრების დღის წესრიგი:**

1. საკ-ის მუშაობაში პრიორიტეტების განსაზღვრა და კავშირის ძირეული რეორგანიზაციის შესახებ;
2. საკ-ის ქონების ოპტიმიზაციის შესახებ.

**საქართველოს არქიტექტორთა შემოქმედებითი კავშირი**

**2008 წლის 9 ოქტომბერს ჩატარდა სს „სანატორიუმი ფაზისის“ პარტნიორთა კრება, რომელმაც გადაწყვიტა, რომ ლიკვიდაციის პროცესში მყოფი სს „სანატორიუმი ფაზისის“ ქონება განაწილდეს აქციონერთა შორის შემდეგნაირად:**

სს „სანატორიუმი ფაზისის“ კუთვნილი 100 % წილი შპს „გვერითაში“ დაეთმოს სს „სანატორიუმი ფაზისის“ 99.908 % აქციების მესაკუთრე შპს „უწერა 2007“-ს. აქციონერებმა 1. ახვლედიანი მარინე (0.0058 %); 2. თაგვაძე ელზა (0.0058 %); 3. მაისურაძე ეკა (0.0121%); 4. მეტრეველი თეა (0,0152%), 5. მეტრეველი თენგიზი (0.0121%; 6. მეტრეველი შალვა (0.0121%); 7. მეტრეველი ბესიკი (0.0058%); 8. მეტრეველი ბონდო (0.0058%); 9. მეტრეველი იასონი (0.0058%); 10. ომიაძე გურამი (00.58%); 11. ხიდეშელი მზია (0.0058%) ქონების განაწილებაში მონაწილეობა მიიღონ ფულადი სახით, მათი კუთვნილი აქციების პროპორციულად.

**წინადადებების და პრეტენზიების შემთხვევაში მიმართეთ: მის: ონის რაიონი, სოფელი უწერა, სს „სანატორიუმი ფაზისი“, ნელი გვარაძე, ტელ: 899 53-63-52.**

# კონკურსი

## შპს „საქართველოს რკინიგზის“ საინფორმაციო ტექნოლოგიების სააგენტოს სატელეკომუნიკაციო ცენტრის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებელი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

**თბილისის კვანძი**

**კახეთის უბნის უფროსი ელექტრომექანიკოსი**

***საცხოვრებელი ადგილი – გურჯაანის რაიონი***

1. უმაღლესი განათლება. სასურველია რკინიგზის კავშირგაბმულობის სპეციალობით;
2. სპილენძის მაგისტრალური კაბელის ექსპლუატაციის ცოდნა;
3. სპილენძის მაგისტრალურ კაბელზე გაზომვების, სამონტაჟო სამუშაოების ჩატარების ცოდნა.

**ხაშურის კვანძი**

**სადგურ ბორჯომის ასს-ს მორიგე ელექტრომექანიკოსი**

***საცხოვრებელი ადგილი – ბორჯომის რაიონი***

1. უმაღლესი განათლება, სასურველია რკინიგზის კავშირგაბმულობის სპეციალობით;
2. სპილენძის მაგისტრალური კაბელის ექსპლუატაციის ცოდნა;
3. სპილენძის მაგისტრალურ კაბელზე გაზომვების, სამონტაჟო სამუშაოების ჩატარების ცოდნა.

**დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ:**

1. განცხადება;
2. CV (ავტობიოგრაფია);
3. ორი ფოტოსურათი;
4. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
5. განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
6. შრომის წიგნაკის ასლი (რეკომენდირებულია).

**მისამართი: შპს „საქართველოს რკინიგზა“, ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი № 15. ტელ: 56-44-08.**

**კახეთის უბნის უფროსი ელ. მექანიკოსი**

***საცხოვრებელი ადგილი - გურჯაანის რაიონი***

1. უმაღლესი განათლება, სასურველია რკინიგზის კავშირგაბმულობის სპეციალობით;
2. სპილენძის მაგისტრალური კაბელის ექსპლუატაციის ცოდნა;
3. სპილენძის მაგისტრალური კაბელის გაზომვების, სამონტაჟო სამუშაოების ჩატარების ცოდნა.

**სადგურ ბორჯომის ასს-ს მორიგე ელ. მექანიკოსი**

***საცხოვრებელი ადგილი – ბორჯომის რაიონი***

1. უმაღლესი განათლება, სასურველია რკინიგზის კავშირგაბმულობის სპეციალობით;
2. სპილენძის მაგისტრალური კაბელის ექსპლუატაციის ცოდნა;
3. სპილენძის მაგისტრალური კაბელის გაზომვების, სამონტაჟო სამუშაოების ჩატარების ცოდნა

**კანდიდატებმა აუცილებლად უნდა წარადგინონ:**

1. განცხადება გენერალური დირექტორის სახელზე;
2. CV (ავტობიოგრაფია);
3. ორი ფოტოსურათი;
4. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
5. განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
6. შრომის წიგნაკის ასლი (რეკომენდირებულია).

**მისამართი: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15. ტ. 56-44-08.**

## განცხადება

**2008 წლის 6 ნოემბერს, 16:30 საათზე ჩატარდება სს ბ.პაიჭაძის სახ. ეროვნული სტადიონის აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება.**

**დღის წესრიგი:**

1. ცვლილებები სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში;
2. სხვადასხვა საკითხები.

დამატებითი ინფორმაციის მიღება საერთო კრებასთან დაკავშირებით აქციონერებს შეუძლიათ ეროვნული სტადიონის ადმინისტრაციაში.

**ტელ: 27 22 00. დირექტორატი**
**მისამართი: ა:წერეთლის პრ. № 2.**

**საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაცია, სს ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ინსტიტუტის ექიმს, ქალბატონ ნაზი ლექვთაძეს გარდაეცვალა ძმა**

**ავთანდილ ლექვთაძე**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

ქველმოქმედება

# კეთილს ვიქმთ, ჩვენს თავს ვეწევით, თუ ბოროტს, — ღმერთმა გვიხსნას ამისგან, — ისევ ჩვენს თავს ვაზიანებთ...



**ეს სიტყვები ქართველი ერის სულიერ მოძღვარს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II ეკუთვნის.**

ამ რამდენიმე დღის წინათ ხალხმრავლობა იყო ვაკეში, 57-ე საბავშვო ბაღში, აქ გორიდან დევნილები ცხოვრობენ, სულ 24 ოჯახი.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ფესვებმა“ (ხელმძღვანელი ნანა ხელაშვილი) დევნილებისთვის საქველმოქმედო, სამედიცინო აქცია მოაწყო. თუმცა არც ამ დღემდე დაუკლია ყურადღება ამ ხალხისადმი ქალბატონ ნანას, როცა მათ გაეცნო, გაიგო — რა უჭირდათ, წავიდა ლტოლვილთა სამინისტროში, ვისთან არ შევიდა, ვის არ სთხოვა, მანამდე არ წამოვიდა, ვიდრე 75 ლეიბი მანქანაზე არ დაულაგეს.

საბავშვო სახლში დევნილთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესამოწმებლად, კვალიფიციური კონსულტაციების ჩასატარებლად მოვიდნენ სხვადასხვა პროფილის მედიკოსები, ქავთარაძის ქუჩაზე მდებარე „სამკურნალო კომბინატში“ მომუშავე, ცნობილი, ენდოკრინოლოგი ნათია კუბლაშვილი, რკინიგზის საავადმყოფოს ექიმები კარდიოლოგი ბელა ხელაშვილი, რევმატოლოგი მარინა ნანეიშვილი, გინეკოლოგი — იანა ბასილაშვილი, პედიატრი — ელისო ბრეგაძე, სტომატოლოგი — ირინა ცისკარიშვილი.

ჰუმანიტარული-სამედიცინო აქტის მონაწილეებს წამლები საერთაშორისო საეკლესიო საზოგადოება „ამქორმა“ გადასცა (პრეზიდენტი გოგი გედევანიშვილი), საზოგადოების მენეჯერმა ასმათ ბეშიძემ ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ დევნილებს თავი დათრგუნულად არ ეგრძნოთ. სწავლის დაწყების წინ ამ ორგანიზაციის სახელით 15 მოსწავლეს სასწავლო ნივთები და ჩანთები გადასცეს.

**გავესაუბრეთ რამდენიმე დევნილს.**

**ტერეზა ბერუაშვილი, გორის რაიონის სოფელ ერედვის მკვიდრი:**

— ოჯახში ხუთი სული ვართ, ისე წამოვედით, რომ თან ვერაფერი წამოვიღეთ, ყოველ წუთს სიკვდილს ველოდით, უკვე გვესმოდა სროლისა და აფეთქებების ხმა.



ჯავარ ლომაძის ფოტო

— ლტოლვილთა სამინისტროდან ჩვენთან კოორდინატორია მოვლინებული, თუ რამე გვჭირდება, გვეხმარება. 10 დღეში ერთხელ მოაქვთ კვების პროდუქტები, არც ბავშვებს აკლიათ რამე, ეს არის რომ ხილის ქვეყნიდან ვართ, ბავშვებს კი ხილი ენატრებათ ერთი სული აქვთ როდის გაირბენენ თავიანთ ბაღებში, ან კი დაგვხვდება იქ ხეხილი? ამბობენ, ჩვენი სოფელი მიწასთან არის გასწორებული, არც ერთი სახლი აღარ დგასო. მეზობელი მიშიკო თაბოშვილი თავის ეზოშივე დახვრიტეს, ძლივს მოვახერხეთ ცხედრის მიწისთვის მიბარება, გვეშინოდა, არ მოესწროთ...

**თამარ მარიამიძე:** — მე ორგზის ლტოლვილი ვარ, ადრე ცხინვალიდან გამოვიქეცით პირველი ომის დროს, იქ 15 წლის ბიჭი მომიკლეს, ძალის გამოყენებით დაგვატოვებინეს სახლი, მერე კეხვში ჩავსახლდით, ორი ბიჭი დამრჩა, ახლა იძულებულნი ვიყავით კეხვიდანაც გამოვქცეულიყავით. რა დავაშავეთ ასეთი, არ ვიცი, ღმერთმანი, როცა ერთად ვცხოვრობდით — ყველას ერთმანეთი გვიყვარდა. ასე რამ შეაძულათ ჩვენი თავი, არ ვიცი.

აქ ყურადღება ნამდვილად არ გვაკლია, განსაკუთრებით ვემადლიერებით ქალბატონ ნანა ხელაშვილს, რომელიც ასე უანგაროდ გვეხმარება, დღე არ გავა — არ მოვიდეს, არ მოგვიკითხოს. ხედავთ, ენდოკრინოლოგ ნათია კუბლაშვილს რამდენი ადამიანი ელოდება? გვსინჯავენ ძალიან კვალიფიციურად და თუ წამალი გვჭირდება — უფასოდ გვაძლევენ. მადლობის მეტი რა გვეთქმის, ჩვენი გულისთვის დატოვეს ოჯახები, თავიანთი სამსახურები და ჩვენ გვეხმარებიან, ამისათვის ყველას დიდი მადლობა.

**— მალე, სამაჩაბლოში შეხვედრამდე...**

**ნაზი იმნაიშვილი**

გვწერენ

## დუშეთში წყლის საკითხი „ცისკარას“ კი არა, „ცეზარას“ ზღაპარს დაემსგავსა

რამდენი წერილი მიეძღვნა დუშეთში წყლის პრობლემას. ვინ არ ჩაერია, დუშეთს წყალი რომ მიეღო: ყოფილი და ახლანდელი გამგებლები, ყოფილი და ახლანდელი გუბერნატორები, თვით პრეზიდენტი და მისი ბებია, დეპუტატი მოლოდინი (რომელმაც მოლოდინი ნამდვილად გაგვიცრუა). ეს ახალი დეპუტატი ვინა ყოფილა, ძველი მოგვანატრა. ახლა დუშეთში ერთნი ამბობენ, ამდენი თანხა დაიხარჯა და სათავეში, ახალგორიდან, საიდანაც წყალი უნდა წამოვიდეს, ამდენი მარაგი არ არისო. აქედან წყალი ცეზარ ჩოჩელმა იმიტომ წამოიყვანა, რომ საკუთარი მილების ქარხანა გაუმართავს ლილოში და მილების რეალიზაცია ამ პროექტით განახორციელაო. მეორე ვერსიით, დუშეთში შიდა ქსელი არვარგაო, რაც ნაკლებად დასაჯერებელია. ხალხი ამბობს, ოღონდ წყალი მოგვცენ და ყველა მოვუვლით, წყალს ტყუილა არ დავღვრითო.

როგორც ხედავთ, სიმართლის დადგენას კიდევ დიდხანს მოუნდებიან. დუშეთი კი უწყლოდ „ცისკარას“ ანუ „ცეზარას“ ზღაპარს დაემსგავსა. ამ წყლის სათავე ახალგორშია. სანამ გაირკვევა ახალგორი ვისია, დუშეთში წყალი არ მოვა, ახლა პოლიტიკის სფეროდ გადაიქცევა დუშეთში წყლის მოწოდება. ეს იმ დროს როდესაც. დუშეთის გარშემო ჟინვალი. ბულაჩაური. ბაზალეთი და უამრავი წყაროებია.

დუშელები:
შ. კარიაული, გ. კერესელიძე,
ქ. ბექაური, ჭ. ყორიაული.

ინფორმაცია

## გუშინ ქუთაისში მოწამეთობას აღნიშნს

**დღესასწაული** ტრადიციულია და მართლმადიდებელი მრევლი სამ საუკუნეზე მეტია, აღნიშნავს.

მოწამეთას ტაძარი ქუთაისის მახლობლად, წყალწითელას ხეობაში მდებარეობს.

ლეგენდის თანახმად, ეკლესია იმ ადგილეზე ააშენეს, სადაც წმინდა მოწამენი, დავითი და კონსტანტინე მურვან ყრუს შემოსევის დროს რელიგიური მრწამსის ერთგულებისთვის აწამეს.

ამ დღის აღსანიშნავად საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ასობით ადამიანი იკრიბება, მოწამეთის ტაძარში მისულ ნებისმიერ ადამიანს, შეუძლია გვირაბში გაიაროს, სადაც სურვილის ჩაფიქრების შემდეგ წმინდა ნაწილებს ემთხვიოს.

ანეკდოტები

უკეთესია, გაიღვიძო საშინელ, შეუხედავ ქალთან, ვიდრე ლამაზ მამაკაცთან!

* * *

დილით სიდედრი სიძეს შესჩივის:

— წუხელ კოღომ არ მომასვენა, დილით ბალიში სისხლით მქონდა მოსვრილი.

— ალბათ, გული აერია! — ამშვიდებს სიძე.

* * *



მარტო იმედით რომ იკავებო, ალბათ შიმშილით მოკვდები.

* * *

— რატომ ხარ ასე მოწყენილი?

— ფული არ მაქვს!

— არ გიცდია, რომ ერთი 150 ლარი გადაგემალა?

— ვცადე, მაგრამ მალე ვპოულობ.

* * *

— ქმარს რატომ ეყრები?

— მღალატობს!

— უყურე მაგ საზიზღარს!

— აბა, რომ მეუბნება, ისეთი არა ხარ, როგორც მინდაო! ყველასთვის ისეთი ვარ, როგორიც უნდათ, მაგისთვის კი — არა?!

* * *

ხელფასის ევოლუცია — საღიმილოდან სახარხაროමდე.

* * *

საუბრობს ორი ალკოჰოლიკი:

— როგორ მინდოდა ორი თავით დავბადებულიყავი!

— რას ამბობ, სულ გამოსულელდი?

— აბა, ერთი დაფიქრდი, დაბადებისთანავე სპირტიან ქილაში ჩამდებდნენ!

* * *

— ეს რა ვნახე, კაცო, გუშინ ჩვენს უფროსს სექსზე წავასწარი!

— თავის ახალ მდივანთან?

— არა, არა!

— საყვარელთან?

— არა, არა!

— რომელიმე ბოზთან?

— არა, რას ამბობ!

— ორიენტაცია ხომ არ შეიცვალა, ცისფერი ხომ არ გახდა?

— ეე, მაინც ვერ გამოიცანი... თავის ცოლთან!

კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.